გამოიწერეთ

ახალგაზრდა ივერიელი

გამოიცემა 1921 წლიდან

5 ოქტომბერი შაბათი 1991

№ 113-114 (11746-47)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომელსა არა უყუარდეს ძმაჲ თჳსი...

წმინდა მამა ანტონ დიდი მოღვაწეობდა მესამე საუკუნეში. წარმოშობით იგი შეძლებული ოჯახიდან იყო, მაგრამ თავისი ქონება ადრეულ ასაკშივე გლახაკებს დაურიგა და მონაზვნურ ცხოვრებას შეუდგა. ღმერთმა ანტონ დიდს ძალმოსილი მეტყველება მომადლა და მისი წმიდა ქადაგებები ქრისტიანთა ხალვთისმეტყველო დარიგებებად იქცა.

დღეს გთავაზობთ ერთ მონაკვეთს მისი კრებულიდან „სათნოთმოყვარება“, რომელიც თარგმნა ვასილ ბურკაძემ.

●

მარად მოთმინედ ჰგიებდით და ნუ მიხცემთ ნებას თქვენს გულებს დაუძლურებისა, რაჟამს ჭირში შთავარდეთ, არამედ მადლი შეხწირეთ ღმერთს ყოველივეს გამო, რათა მადლითვე მოგეგოთ საშლაური უფლისაგან. დაე, იყოს თითოეულ თქვენგანში მშვიდობა, ჭეშმარიტება, სიყვარული ღმერთისა და ურთიერთკეთილგანწყობა! დაე, შორს იყოს თქვენგან განხეთქილება, ცილისწამება, წინააღმდეგობა ერთმანეთისა, ბოროტი შური და ურჩება, ამპარტავნება და ცუდად განდიდება თავისა. და ნუ გაანაწყენებთ ვინმეს ადამიანთაგან, ნურც დაცინვა თუ გაკიცხვა ვისიმე იქნება თქვენს შორის, ნურც სიძულვილი და შეუწყნარებლობა ერთმანეთისა! თუკი რომელიმე სავანეში ამგვარი ბოროტი საქმენი აღმოცენებულია ძმათა შორის, იქ ღვთის რისხვაც ეწევათ. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ ჩვენი ცხოვრება ამქვეყნად მეტად ხანმოკლეა. ამიტომ გაუფრთხილდით მას და ნუ დახარჯავთ მცონარებაში, ვინძლო იმ წამს არ გეწიოთ ამა ქვეყნიდან გადასახლების ჟამი, რა წამსაც ცუდად განურისხდებით მოყვასს, და კაცის მკვლელად არ იქნეთ შერაცხულნი, როგორადაც ეს საღმრთო წერილშია ნათქვამი: „რომელსა არა უყუარდეს ძმაი თვისი, სიკვდილსა შინა დადგრომილ არს, და ყოველსა, რომელსა სძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცის-მკვლელი არს, და იცით, რამეთუ ყოველსა კაცის-მკვლელსა არა აქვს ცხოვრებაი საუკუნოი მის თანა დადგრომად“ (I იოანე 3,15). და აკი თვით მაცხოვარიც ამასვე შეგვაგონებს, როცა ამბობს: „იყვენით თქვენ მოწყალე, ვითარცა მამაი თქვენი მოწყალე არს. ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ, და ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ; მიუტევენით და მოგეტევენ“ (ლუკ. 6,37).

თუკი რომელიმე თქვენგანს ცილისწამება შეხვდება ბოროტ ადამიანთაგან, დაე, სიხარულით მიიღოს ეს განსაცდელი, და ყოველივე თვისი უფალს მიუძღვნას, რომელიც ერთი არის მართალი მსაჯული და მრისხანე შურისმგებელი. ხოლო თუკი რომელიმე თვით შესწამებს ცილს მოყვასს, დაე, იჩქაროს თავის დამდაბლება უფლის წინაშე და პატიების თხოვა თავისი მოყვასისაგან, და მაშინ უფალი შეუნდობს ესევითარს. არ დაუშვათ, რომ მრისხანედ იყოთ და მზის ჩასვლამდე არ განაგდოთ მრისხანება თავისაგან, როგორც ამას პავლე მოციქული გვასწავლის. ასე რომ, ძირფესვიანად ამოიგლიჯეთ ხოლმე გულიდან მასში აღმოცენებული ბოროტი ზრახვები ერთურთის წინააღმდეგ, რათა ჩანასახშივე აღკვეთოთ მრისხანება და ბოროტის ნდობა მოყვასისათვის, რაც სიძულვილისაგან და შურისაგან აღენთება. ეს ორი ვნება ადამიანის გულისა თავისი არსით ყველაზე ბოროტია, და ამის გამო ყველაზე საძულველიც ღმერთისთვისაც და ადამიანისთვისაც. ამიტომაც არც ერთი ამ ვნებათაგანი არ უნდა ჰგიებდეს არც მორწმუნის გულში და არც ღვთის მონის, ანუ ბერ-მონაზონის გულში. მაშ, დაე, ჩვენგანაც ნურავინ ნუ დაიქადებს (თავისი უკიდურესი უგნურებით) და ნუ იტყვის — მე აღვმატებულვარ უძლურ ძმაზე, მიძლევიეს მისთვის და არც დავინდობო. დაე, უწყოდეს ამგვარმა მონაზონმა, ვინც ამას იტყვის, რომ სიკვდილისათვის მიუბარებია თავისი სული, და იმ ადგილს დაიმკვიდრებს, სადაც არის ტირილი და კბილთა ღრჭენა, დაუძინარი მატლი და მარად მგზნებარე ცეცხლი საუკუნო სატანჯველისა.

## ქრონიკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა დანიშნა:

თამაზ მიხეილის ძე ვაშაძე ქ. თბილისის მერის მოვალეობის დროებით შემსრულებლად.

ჯუმალ კონსტანტინეს ძე დავლიანიძე კასპის რაიონის პრეფექტის მოვალეობის შემსრულებლად.

მაგალი არეს ძე თოდუა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

## დღის რეპორტაჟი

# „ისევ... „ჩვენ“ და „ისინი“

„ისევ გათიშვა და დაპირისპირება, ისევ... „ჩვენ და ისინი“... ისევ... ორად (თუ მეტად არა!) გახლეჩილი საქართველო, და რაც მთავარია, შემზარავი შიში ხვალინდელი დღისა!

დავთრგუნოთ სატანა, მოვძებნოთ, გამოვნახოთ საერთო ენა, გულისყურით მოვუსმინოთ ერთმანეთს, — გავარკვიოთ გასარკვევი, დავთმოთ დასათმობი, უარვყოთ უარსაყოფი და ისევ ძმებად დავრჩეთ!“ ეს ფრაზა ცნობილ ქართველ პოეტს, ქალბატონ ანა კალანდაძეს დავესესხეთ.

საერთოდაც, ვეცდებით, ამ წერილში ბრჭყალები ხშირად გამოვიყენოთ, სხვები ვალაპარაკოთ (თუმცა ამას აქამდეც აქტიურად ვაკეთებდით), თავად მხოლოდ ფაქტები დავაფიქსიროთ, ხოლო განსჯის და დასკვნის გამოტანის საშუალება კი თქვენ მოგცეთ, ჩვენო მკითხველებო! თორემ რა გამოდის — დღე ისე არ გავა „ახალგაზრდა ივერიელში“ რამდენიმე მოქალაქემ მაინც არ დარეკოს და მიკერძოება არ დაგვწამოს — ხან „პუტჩისტები“ ვართ, ხან ხელისუფლების ბრმად დამცველები... ის კი არადა, რესპუბლიკის ტელევიზიით რომ ერთ დღეს ჩვენს პუბლიკაციას გენიალურს უწოდებენ (თავად ჩვენ, ცხადია, ძალზე შორსა ვართ ამ აზრისგან), მეორე დღეს რესპუბლიკის რადიო ყველას გასაგონად ალაპარაკებს მოქალაქეს, რომელიც მოუწოდებს „ახალგაზრდა ივერიელი“ არ გამოიწეროთო.. მოკლედ... ამ მდგომარეობის განსჯაც თქვენთვის მოგვინდია, ჩვენ კი კვლავ თბილისში მიმდინარე მოვლენების მსვლელობას მივყვებით.



ვახტანგ კუციას ნახატი.

**უნივერსიტეტთან**

აქ კვლავ გრძელდება მჯდომარე აქცია, რომლის მიზანიც ერთადერთია — დაპირისპირებულ მხარეთა შერიგება.

30 სექტემბერს აქციის მონაწილეებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს ამ მიზნისადმი ერთგულება — მიუხედავად იმისა, რომ იმ მომენტში უნივერსიტეტის წინ უკვე მიმდინარეობდა სხვა მიტინგი, თავისი ხმაც შეუერთეს მთავრობის სახლიდან სამშვიდობო მისიით დაძრული ადამიანების ზღვას და მათ მიტინგს. მიტინგის მონაწილეებმა უნივერსიტეტის წინ მიიღეს რეზოლუცია, რომლითაც მიმართეს და სამოქალაქო მშვიდობისაკენ მოუწოდეს მოწინააღმდეგე მხარეს. ეს რეზოლუ-

(დასასრული მე-8 გვ.).

## როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო

დღევანდელი ჩვენი ნომერი უკანასკნელ დღეს თუ საათებში შექმნილი ერთგვარი სტაბილური მდგომარეობის ასახვაა, როცა ოპოზიციურმა შეიარაღებულმა ფორმირებამ დასტოვა ქალაქი და შეიქმნა შესაძლებლობა პრობლემის მშვიდობიანი მოგვარებისა, მაგრამ გაზეთი დასაბეჭდად მზადდებოდა, სიტუაცია თბილისში რომ კვლავ გამწვავდა. ოფიციალური ინფორმაციით თბილისის ზღვის რაიონში „თენგიზ კიტოვანის უკანონო შეიარაღებული ფორმირება... თავს დაესხა ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებს“. არაოფიციალური ინფორმაცია ამის საწინააღმდეგოა, ოპოზიცია პირიქით ოფიციალურ გვარდიას ადანაშაულებს. არიან დაჭრილები. რუსთაველის პროსპექტი, კერძოდ მთავრობის სასახლის წინამდებარე ტერიტორია კვლავ გადაიკეტა, მიმდინარეობს მიტინგები. რედაქციას უფრო ზუსტი ინფორმაცია ამ დროისათვის არ გააჩნია.

დღეს ჩვენი თანამშრომლების — მაია თუნზიასა და გიგლა გოგეჩიას ქორწილია.

ვულოცავთ მათ ამ ბედნიერ დღეს და ვუსურვებთ მტკიცე ქართული ოჯახის შექმნას, გამრავლებას.

ახალგაზრდა ივერიელები

## პატივცემულო მკითხველო!

2 ოქტომბრის გაზეთ „შანსში“ „ახალგაზრდა ივერიელის“, „დროს“, „ნაკადულისა“ და „შანსის“ რედაქციების ხელმოწერით გამოქვეყნდა რეპლიკა — „პატივცემულო მკითხველო!“

უნდა განვაცხადოთ, რომ ეს რეპლიკა სარედაქციო დაძაბული ოპერატიული საქმიანობით გამოწვეული გაუგებრობით უნდა აიხსნას. პრობლემა, რომლის გადაჭრაც გამომცემლობისა და რედაქციათა საშინაო საქმეა და პიროვნული მოლაპარაკებით უნდა გარკვეულიყო, მოულოდნელად გამოვიდა გაზეთის ფურცლებზე, თანაც ისე, რომ ის არ ყოფილა შეთანხმებული არც ერთი ხელმომწერი გაზეთის რედაქტორთან (მათ შორის „შანსის“ რედაქტორთანაც, რომელიც ბიულეტენზე იმყოფება). ამასთან, რეპლიკაში განცხადებულთა პრეტენზია ახალი გაზეთის დაარსებასთან დაკავშირებით, რაც სრულიად მიუღებელია, რადგან ჩვენ, ჟურნალისტები, მხოლოდ უნდა მივესალმოთ ახალი კოლექტივის დაბადებას.

ამდენად, იმედია, გამომცემლობასა და რედაქციებს შორის არ იქნება არავითარი გაუგებრობა და კვლავ გაგრძელდება ტრადიციული კოლეგიალური, კეთილმოსურნე დამოკიდებულება.

„ახალგაზრდა ივერიელი“, „დრო“, „ნაკადული“, „შანსი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მივაღწიოთ მშვიდობას

საქართველოს მწვანეთა პარტიის შეხედულებანი საქართველოში მიმდინარე პროცესებზე უცვლელია. ვთვლით, რომ ჩვენი მოთხოვნები იყო და არის სამართლიანი, მაგრამ დღეს, უაღრესად კრიზისულ სიტუაციაში, როდესაც ქართველებს შორის მტრობისა და უნდობლობის კედელი აღიმართა, როდესაც საქართველო ორ ბანაკად გაიყო და ქართველმა კაცმა ხელი აღმართა თანამოძმეებზე, იარაღი აისხა და დაუპირისპირდა თავისსავე სისხლსა და ხორცს, — ყველა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ და საღად მოაზროვნე ადამიანმა, ყველამ, ვინც გრძნობს პასუხისმგებლობას მომავლის წინაშე, უპირველესად უნდა იზრუნოს იმისათვის, რათა მივაღწიოთ სამოქალაქო მშვიდობის აღდგენას. მხოლოდ ამის შემდეგ მშვიდობიანი, ცივილიზებული ფორმებით უნდა გავაგრძელოთ ჩვენს შორის არსებული პოლიტიკური უთანხმოებების გარკვევა.

დაპირისპირებული შეიარაღებული ძალების დედაქალაქიდან გაყვანა, მათი დაშორიშორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მზად იქნებიან კომპრომისული შეთანხმების მიღწევისათვის.

დათანხმდება თუ არა გვარდია განიარაღების მოთხოვნაზე?

გვარდია დღეს უნდობლობას უცხადებს პრეზიდენტს. თვლის, რომ აქვს ამის საკმარისი საბაბი და შესაბამისად ის არ დათანხმდება. ასე რომ, ულტიმატური მოთხოვნა განიარაღებისაკენ წინასწარვე განწირულია.

ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია, რომ ეს სამხედრო ფორმირება, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი, იყოს სახელმწიფო სტრუქტურებს გარეთ. ამიტომ გვარდიის სტატუსი საბოლოოდ უნდა განისაზღვროს უზენაესი საბჭოს სესიაზე და ეს უნდა მოხდეს გვარდიის ხელმძღვანელობასთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, საქართველოს სახელმწიფოს უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე.

სესიაზე, რომელიც სასწრაფოდ უნდა იქნას მოწვეული, აუცილებლად უნდა მიეცეს გამოსვლის საშუალება ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რაც იქნება დებატების ქუჩიდან დარბაზში გადატანის დასაწყისი. აუცილებლად მიგვაჩნია პირდაპირი ტელეტრანსლაცია. რათა მთელმა საქართველომ იცოდეს, ვინ რა პოზიციაზე დგას.

შექმნილ დაძაბულ ვითარებაში საქართველოს მწვანეთა პარტიას სტაბილიზაციის წინაპირობად პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა შესახებ კანონის განუხრელი განხორციელება მიაჩნია. ღრმად გვწამს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს დაუშვებელია შიგაპოლიტიკური პრობლემების იარაღით მოგვარება.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ხვალ ქართველთა შორის მოხდება სისხლიანი შეტაკება, ამ სამარცხვინო ბრძოლაში გამარჯვებული არავინ იქნება. მაგრამ თუ დღეს ამ მძიმე ვითარებაში თავიდან ავიცილებთ ძმათა შორის ომის საშიშროებას, ეს იქნება საქართველოს ხელისუფლების, ოპოზიციის, თითოეული ჩვენთაგანის გამარჯვება და დასტური იმისა, რომ ქართველი ერი მზადაა თავისუფლებისათვის.

მოგმართავთ ყველას, გამოხატოთ თქვენი ნება საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დამყარებისა, ამოჭრათ ქვემოთ დაბეჭდილი წერილი და თქვენი ხელმოწერით დადასტურებული გააგზავნოთ საქართველოს საპატრიარქოში (მისამართი: 380005, თბილისი, მეფე ერეკლე მეორის მოედანი, 1). ვინაიდან სწორედ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი წარმოადგენს ჩვენი ერის ერთიანობის სიმბოლოს და მას ხელეწიფება მიაწვდინოს თქვენი ხმა ხელისუფლებას, ოპოზიციას, სრულიად საქართველოს.

**საქართველოს მწვანეთა პარტია**

## საქართველოს მთავრობას, ოპოზიციას, ქართველ ხალხს

**ძმათა შორის მოსალოდნელი სისხლისღვრის თავიდან აცილებისათვის, არსებული პოლიტიკური კრიზისის მშვიდობიან და არაძალადურ კალაპოტში გადატანისათვის აუცილებლად მიმაჩნია:**

**1. მოხდეს დაპირისპირებულ შეიარაღებულ ძალთა ქალაქიდან გაყვანა ურთიერთშეთანხმებული რეჟიმის შესაბამისად.**

**2. უახლოეს მომავალში მოწვეულ იქნას უზენაესი საბჭოს საგანგებო სესია პირდაპირი ტელეტრანსლაციით, რომელიც განიხილავს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზებს. სესიამ უნდა განიხილოს აგრეთვე საკითხები ეროვნული გვარდიის სტატუსის შესახებ, პოლიტპატიმრების შესახებ, თბილისში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ და სხვა მტკივნეული პრობლემები.**

**3. საქართველოს ტელევიზიით და მასობრივი ინფორმაციის სხვა ძირითადი საშუალებებით მიეცეს თავისუფლად გამოსვლის შესაძლებლობა ხელისუფლებისაგან განსხვავებული აზრის მატარებელ ადამიანებს საქართველოს რესპუბლიკის პრესის შესახებ კანონის შესაბამისად.**

# „ძმამ მოუდო ძმასა ყისტი..."

**ერთმა** ბიჭმა მეორეს სიგარეტი სთხოვა. მეორეს ერთი ცალიღა დარჩენოდა და უარი უთხრა. პირველი განაწყენდა და (სიგიჟემდე უნდოდა მოწევა!) სილა სტკიცა. მეორემ პასუხად ორი სილა გააწნა, პირველი მიხვდა, მუშტით ვერას გახდებოდა, და დანა იძრო ჯიბიდან. დანა მეორესაც აღმოაჩნდა და...

ერთი შეხედვით, პრიმიტიული (მაგრამ ცხოვრებისეული!) მაგალითია, მაგრამ ხომ ჰგავს იგი იმ სიტუაციას, რომელმაც ქართველი ხალხი დღევანდელ გათიშულობამდე, ის კი არა, ხელჩართულ ბრძოლამდე მიიყვანა?

ხომ შეეძლო, დაეყვავებინა მეორე ბიჭს, — ა, ძმაო, ერთი ცალიღა მაქვს, მოდი, ორივემ მოვწიოთ, და ის ერთი ღერი სიგარეტი განხეთქილების ვაშლად კი არა, სამშვიდობო ჩიბუხად იქცეოდა.

ისე, როგორც ხეზე ვერ იპოვი ორ ერთნაირ ფოთოლს, ასევე არ არსებობს ორი აბსოლუტურად ერთგვარად მოაზროვნე ადამიანი. სხვაობა ემბრიონშივე დევს, მერე კი სოციალურ გარემოს შეაქვს თავისი კორექტივები და საბოლოოდ ვღებულობთ, ვთქვათ, ორ ფილოსოფოსს, რომელთაგან ერთი სოკრატეა და მეორე — ჰიპია; ორ ხელხმლიან პოლიტიკოსს, რომელთაგან ერთი სააკაძეა და მეორე — თეიმურაზი; ორ კომუნისტს, რომელთაგან ერთი ბოლშევიკია და მეორე — მენშევიკი (თავის დროზე ამან გამოიწვია რკპ (ბ) და სკკპ (ბ) აბრევიატურების შექმნა); ორ თანამედროვე პოლიტიკოსს, რომელთაგან ერთი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრია და მეორე — საქართველოს ჰელსინკის კავშირისა.

შორს აღარ წავალ — ვისლა სცალია შორს წასასვლელად, როცა აქ, აქვე, ამ წუთში წყდება ყველაფერი.

ორივენი — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრიცა და საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრიც ხომ, ამასწინათ პრესაში გავლებული პარალელისა არ იყოს, „ბედკრული საქართველოს შვილები არიან"!

რაკი ერთმა მეორეს უკანასკნელი სიგარეტი არ უწილადა, ამიტომ დანა უნდა გაუყარონ გულში ერთმანეთს?

ერთი სიგარეტის გულისთვის?

. ტელევიზიით გამოსვლის უფლებისთვის?..

არც განდის მაგალითი გვინდა, არც დე გოლის, არც ნიქსონისა.

როცა ოჯახში რძალი — ახალი წევრი შემოდის, მნიშვნელოვანწილად [illegible] უფროსზეა დამოკიდებული, თუ რა ურთიერთობა დამყარდება რძალ-დედამთილსა თუ რძალ-მულს შორის — ურთიერთგაგება და სიყვარული თუ გაუგებრობა და სიძულვილი.

მნიშვნელოვანწილად...

მაგრამ უმთავრესად ეს ფვით რძალსა და დედამთილზე (ან რძალსა და მულზე), მათ პიროვნულ თვისებებზე, ოჯახის უფროსის პატივისცემაზე, ურთიერთპატივისცემაზე, ურთიერთდათმობის უნარზეა დამოკიდებული.

რძალს კერძი არ გამოუდის? — რა მოხდა მერე, ახალგაზრდაა, ისწავლის!

დედამთილმა წინდები მოქსოვა და მეორე შვილის შვილს აჩუქა? — რა მოხდა მერე? ვიღაცისთვის ხომ უნდა მოექსოვა პირველად, დაჯდება და მეორე წყვილს მეორე შვილიშვილს მოუქსოვს!

მული „მრგვალ მაგიდას" თანაუგრძნობს, რძალი — რუსთაველის საზოგადოებას. რა მოხდა მერე, იქაც ქართველები არ არიან და აქაც? ორივე მხარეს ერთი მიზანი არა აქვს?

მუხრან მაჭავარიანი და გურამ პეტრიაშვილი (რომელთაც მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ!) პრეზიდენტის მხარეს დგანან, ჯანსუღ ჩარკვიანსა და ელდარ შენგელაიას (რომელთაც მე უაღრესად დიდ პატივს ვცემ!) ოპოზიციის მხარე უკავიათ. მაგრამ ისინიც ქართველები არ არიან და ესენიც?

როგორც იმ ორ ბიჭს შორის, როგორც იმ რძალ-დედამთილს შორის, ასევე, დღევანდელ ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არ არსებობს [illegible] მდგომა, ურთიერთ[illegible] გზით მოგვარება რომ არ შეიძლებოდეს.

ოღონდ ერთი უნდა გვახსოვდეს — რომ ქართველები ვართ უპირველეს ყოვლისა, ადამიანები ვართ, ცივილიზებული ადამიანები და არა [illegible], [illegible] ნაჭრისთვის [illegible] უტეხენ ერთმანეთს, არა ნადირები, რომლებიც მზად არიან, ნადავლის გაყოფისას დაუნდობლად დაგლიჯონ ერთმანეთი.

გავიხსენოთ:

„მერე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდო ძმასა ყისტი",

ან:

„ვით მამალი სხვა მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს..." და მერე: „ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა ლეკთა, ოვსთა, დიდოს..."

ან კიდევ:

„ეს ხმა ლეკთაცა აგვიყაყაწებს, ოსმალი მხოლოდ დროს შემოჰყურებს".

რწმენა — რწმენაა, მაგრამ ხომ არსებობს ერთი უწმინდესი და უდიადესი მიზანი — თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველო!

უფალი ამბობს (ამასწინათ მამა არჩილმა შეგვახსენა): „სადაც ორი და სამი ერთმანეთს შეხვდება, მეც მათ შორის ვარ".

მაშ, იმ ღვთის გულისათვის, დავუთმოთ ერთმანეთს მისხალ-მისხალ, წვეთ-წვეთად, ნაბიჯ-ნაბიჯ! ნუთუ საერთო კეთილი თვისებები უფრო ნაკლები გვაქვს, ვიდრე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები?

ნადირებსა და ველურებს ნუ დავემსგავსებით!

ფარნავაზისა და თორნიკეს, დავითისა და თამარის, ცოტნესა და თევდორეს შთამომავალნი ვართ!

ქართველები ვართ!!!

**ნუგზარ აფხაზავა**

# ჩვენს შერიგებას ერთი შუამავალი უნდა ჰყავდეს...

სრულიად საქართველო შიშმა, — სისხლისღვრის, ძმათაკვლის, ცრემლების შიშმა მოიცვა. რა ხანია ქუჩაში ღიმილიან, სახეგახსნილ ადამიანებს აღარ ჩაუვლიათ. დღეს ყველგან ბჭობენ, კამათობენ, დაობენ. არა და, თითქოს სადაო არაფერი უნდა იყოს, მაგრამ სულ ცოტა ხნის წინათ მავანთა და მავანთა პროგნოზს „აცადეთ, ქართველები ერთმანეთს თვითონვე გაუსწორდებიანო", აცხადებამდე აღარაფერი უკლია.

ახლა ოქტომბერია. ი. ჭავჭავაძის პროსპექტზე უნივერსიტეტის ბაღში ამ დროს უჩვეულო განწყობილება სუფევდა ხოლმე. ახალგაზრდებით ახმაურებული ჰადრები. ახლა კი აქ ატმოსფერო დაძაბულა, ყველა ნერვი დაწყვეტამდეა მისული. თუ ასე გაგრძელდა, საშინელება მოხდება, ძმა ძმის სისხლს დაღვრის, როგორ ფიქრობთ რაშია გამოსავალი? ვკითხე ერთ-ერთი ხალხმრავალი მიტინგის მონაწილეებს.

**ნესტან შავგულიძე, თსუ, სტუდენტი:** ყველა ექსპერიმენტის, ცდის, წინადადების დრო დამთავრებულია. დღესვე უნდა დავდგეთ იმ გზაზე, რომელიც შეგვარიგებს, მე სხვა არაფერი მაინტერესებს, პირადი ურთიერთობების მოგვარებას ასობით ადამიანი ხომ ვერ შეეწირება?

**ნანა არჩემაშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი:** ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ვერ დავიჯერებდი, რომ ამდენი ღალატი, შური, მტრობა დაგროვდებოდა. ალბათ სატანა აფათურებს ხელს. როგორ მოგვნატრებია სიმშვიდე, სითბო, სიყვარული.

**ვენერა ცინცაძე, პედაგოგი:** რა გვემართება, ხალხო, რა მოგვიდათ, ქართველის სასიკვდილოდ ხელამართული ქართველი წარმომიდგება თვალწინ და მინდა მთელი ხმით ვიყვირო: გვიშველეთ! მაგრამ არ ვიცი ვის ვუხმობ, მთელი საქართველო ხომ აქაა, ქართველს ქართველზე უკეთესი თანადგომი განა ვინ უნდა ჰყავდეს. ხომ არ გადავჯიშდით, გენი სამუდამოდ ხომ არ დაგვიავადდა?

●

იქვე, ჰადარქვეშ გაცხარებით კამათობდა შუახნის მამაკაცი. გასაუბრება ვთხოვე. ჩემი ვინაობა რომ გაიგო, უიმედოდ ჩაიქნია ხელი. ვიტყვი, თორემ ვინმე ყურად იღებს, რამედ ჩააგდებს ნათქვამს. ამდენი ხანია ტყუილად ვლაპარაკობთ. დავიღალეთ ამ ფუჭი მოწოდებებით, რჩევებით, გაუთავებლად მოგვიწოდებენ „გონიერებას მოვუხმოთ", მე მოვუხმე, ბატონო, ახლა თვითონაც მოუხმონ, შერიგებისაკენ მოგვიწოდებენ და მეორე წუთში ისეთი ლანძღვა-გინების კორიანტელი მოდის ტელეეკრანიდან თუ რადიოგადაცემებიდან, რომ ყველაფრის რწმენა მეკარგება. გვეყო ქილიკაობა, დამცირება, შეურაცხყოფა, ყველა ხომ ერთი შეგნებითა და შეხედულებებით ვერ იცხოვრებს, მაგრამ ეს სულ სხვაა. დღეს ერთიანობა გვინდა, სირცხვილია, ქართველს ქართველთან შესარიგებლად ვეპატიჟებოდეთო.

●

— ჩემი ვინაობა თქვენ არაფერს გეტყვით. მე ვარ დედა, სამი შვილის დედა, გესმით? ორი სტუდენტი და ერთი მეათე კლასის მოსწავლე მყავს. რამდენჯერ გავარიდე ქალაქს. უცნაურად არ გეჩვენებათ, გავარიდე ქართველებით, ჩემი საამაყო ქართველებით დასახლებულ ქალაქს, რომ არ ესროლონ, რომ არ მომიკლან. ვის, ვის მოვთხოვო პასუხი? რატომ უნდა მეშინოდეს, მე ვარ დედა და მთელი დედების სახელით ვაცხადებ: გვეყო, დავიღალეთ. სისხლის მაგივრად ტანში შიში დამიდის. ყველამ იცოდეს ცეცხლის, ომის სისხლისღვრის გამჩაღებელთა მახვილი თითოეული დედის თავზეა აღერებული. შვილებო! კმარა, სატანას აუტანიხართ, ამ ერთ გოჯა მიწას მკვლელებით ნუ დავასახლებთ... (დედა ტირის...).

**გია მედოლიშვილი, თსუ, სტუდენტი:** ყველა ადამიანი იქ უნდა იდგეს, სადაც გონება, საკუთარი რწმენა უკარნახებს. მე აქ ვდგავარ, ჩემი ძმა, ჩემი სისხლი და ხორცი, ერთი დედის და მამის შვილები კი, სულ სხვაგვარად ვფიქრობთ. ამიტომ ის იქ, მთავრობის სახლთან გულშემატკივრობს. ერთმანეთს ღამენათევები სახლში დილით თუ შევხვდებით. მოგეხსენებათ, რა დიალოგიც გვექნება. რომ დავფიქრდები, შეძრწუნებული ვრჩები...

**ნათია კერესელიძე, თსუ, სტუდენტი:** მე ქართველი ვარ, სისხლით და ხორცით, რწმენით. საქართველო მიყვარს — ეს ფრაზა რაღაც ტრივიალური გახდა. შიყვარს კი არა, რაღაც უფრო მეტი მინდა ვთქვა და ვერ გამომითქვამს. ახლა ვერავინ იტყვის, ზუსტად რამდენი ნაბიჯია მის თავისუფლებამდე, მაგრამ თავისუფლების გზაზე კი ნამდვილად ვდგავართ, რომლიდანაც ვერავინ გადაგვახვევინებს. გახსენებაც კი მიჭირს, ამ ბრძოლაში გაურკვევლობის, რაღაც საზიზღარი გრძნობების გამო რა ჩრდილი დავიდგით. საუკუნეობით დასატრაბახებელ ქართულ კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, სათნოებას დაადგა ჩრდილი. ჩვენვე უნდა ჩამოვირეცხოთ ლაქა, უშუამავლოდ, ყველას ჩაურევლად. ჩუმად უნდა შევრიგდეთ, ჩვენს შერიგებას ერთი შუამავალი—საქართველოს სიყვარული უნდა ჰყავდეს.

**ნინო კვაჭანტირაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღის რეპორტაჟი

# „ისევ... „ჩვენ“ და „ისინი“

(დასასრული)

ცია საგანგებო დეპუტაციას იმავე საღამოს უნდა გადაეცა ტელერადიოდეპარტამენტის წინ მიმდინარე აქციის მონაწილეებისათვის, მაგრამ იმ დღეს დაპირისპირებულ მხარეთა შეხვედრა არ შედგა. მიტინგის მონაწილეთა აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ ტელევიზიასთან მოსულ დეპუტატებს „გეგუჩიათ“ ხოლო ოპოზიციონერთა აზრით, კრიზისის მწვავე პარტიის საჭირო ხელად ჟვანიას განცხადებაში, ეს შეხვედრა ვერ შედგებოდა და რომ შემდგარიყო სისხლი შედეგი, რის გამოც მიტინგის მონაწილეები მოითხოვდნენ: „პრეზიდენტი ხელისუფლების მოწინააღმდეგეები“... და ასე შემდეგ.

2 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების, ინტელიგენციის, საზოგადოების ფართო ფენების წარმომადგენლების მონაწილეობით შეიქმნა სამშვიდობო ინიციატივების საკოორდინაციო ცენტრი. მასში შევიდნენ სულ სხვადასხვა პოზიციის მქონე პირები, რომლებიც ერთიანობენ ერთი მიზანი — სამოქალაქო შეთანხმების დამყარება საქართველოში.

**ტელევიზიასთან**

3 ოქტომბრამდე აქ კვლავ შეიარაღებული გვარდიელები იდგნენ. ტელერადიოდეპარტამენტის შენობის წინ ყოველდღიურად იმართებოდა საინფორმაციო მიტინგები.

1 ოქტომბრის მიტინგზე გამოსულებმა ილაპარაკეს რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებაზე, თქვეს, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს დაპირისპირება, თქვეს: მანამ, სანამ არ იზეიმებს დემოკრატიაო.

მიტინგზე გამოვიდა თენგიზ სიგუა და უარყო აზრი მისი მიკვლევის შესახებ და განაცხადა, რომ იგი აქედან ფეხს არ მოიცვლის საბოლოო გამარჯვებამდე.

3 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე ტელევიზიასთან კვლავ გაიმართა საინფორმაციო მიტინგი, სადაც წაიკითხეს „თენგიზ კიტოვანისა და ვაჟა ადამიას ხელმოწერილი შეთანხმება“: თბილისში ხელისუფლებისა და ოპოზიციის შორის დაპირისპირების გამწვავებისთვის ქალაქში გადმოვიდნენ. იგივე გადაწყვიტა მიტინგზე გამოსულმა თენგიზ კიტოვანმა, რომლის ერთგული ამაფრობის და ხელისუფლების ოპოზიციის მიმართ „პუტჩისტების განცხადებები“, სავარაუდოდ იმავე გამოსვლის და პარტიოტული მოსაზრებით.

მიტინგზე გამოსულმა ირაკლი წერეთელმა განაცხადა, რომ ოპოზიცია არჩეულ მშვიდობიან აქციების და დამსწრე საზოგადოების მოსაწვევად, რომ 3 ოქტომბრის, 4 საათზე უნივერსიტეტთან მივიდნენ მიტინგზე.

ამის შემდეგ გვარდიის ნაწილმა დატოვა ტელევიზიის მიმდებარე ტერიტორია.

4 ოქტომბრის დილით, რადიოთი გადმოსცეს ინფორმაცია, რომ თბილისის მერიამ დალუქა ტელევიზიის შენობა აქციის ლიდერების საბჭოს გასაფრთხილებლად მათ გასაგზავნად.

**პოლიტექნიკურის კულტურის სახლთან**

1 ოქტომბერს აქ გაიმართა უზენაესი საბჭოს ფრაქცია „დემოკრატიული ცენტრის“ და მასთან ახლოს მდგომი ორგანიზაციების საინფორმაციო მიტინგი.

მიტინგის მონაწილე დეპუტატებმა ილაპარაკეს იმ წინააღმდეგობების, პრობლემების შესახებ, რაც ბოლო დრომდე არსებობდა ორ შეთანხმებით, იმაზე, რაც ვერ გადაწყდა საპარლამენტო დარბაზში და საბოლოოდ ქუჩაში გადაინაცვლა. ჩვენ, განაცხადეს დეპუტატებმა, „მოვითხოვთ უზენაესი საბჭოს სესიის დაუყოვნებლივ მოწვევას და საქართველოში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობიდან პარლამენტური გზით გამოყვანას“.

ასეთივე საინფორმაციო მიტინგი მოეწყო დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის V კორპუსთან. სადაც, სხვასთან ერთად იმაზეც ითქვა, რომ დღეს, საქართველოში ძალზე ადვილად ამჯობინებენ ადამიანებს ამა თუ იმ იარლიყს. კერძოდ, ლაპარაკი იყო უზენაესი საბჭოს ოპოზიციონერი დეპუტატების პუტჩისტებად გამოცხადების თაობაზე. რომ პუტჩისტად ნებისმიერი ადამიანის და მით უმეტეს დეპუტატის გამოცხადება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენის შემდეგ.

**მერაბ კოსტავას ეზოში.**

3 ოქტომბრის საღამომდე აქ ვაჟა ადამია და მისი შეიარაღებული მომხრეები იყვნენ გამაგრებულნი.

3 ოქტომბერს, საღამოს ვაჟა ადამიამ და მისმა შეიარაღებულმა მომხრეებმა ზემოთნახსენები თენგიზ კიტოვანისა და ვაჟა ადამიას ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს მერაბ კოსტავას სახლის ეზო და გავიდნენ ქალაქიდან.

**მთავრობის სახლთან.**

ამ დღეებში მთავრობის სახლთან რეგულარულად იმართებოდა პრეზიდენტისა და ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგები. 30 სექტემბერს აქ გამართული გრანდიოზული შეკრების მიტინგის მონაწილენი აღფრთოვანებული შეხვდნენ ზვიად გამსახურდიას გამოსვლას, რომელმაც განაცხადა, რომ მთელმა ერმა უნდა მოსთხოვოს დღევანდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეებს იარაღის დაყრა.

1 ოქტომბერს პრესაში გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქციების მონაწილეთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების შესახებ, რის შემდეგაც მთავრობის სახლთან გამართული მიტინგის მონაწილენი, სულ სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები, სიტყვით გამოსვლისას ხაზს უსვამდნენ, რომ თუ პრეზიდენტის მოწინააღმდეგეები ამ ბრძანებულების შემდეგაც არ დაყრიდნენ იარაღს, თუ მაინც დაიღვრებოდა სისხლი, მათ და მხოლოდ მათ მოსთხოვდა პასუხს ქართველი ერი.

3 ოქტომბერს, საღამოს, მთავრობის სახლთან გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მეგობრებო, — მიმართა მან შეკრებილთ, — მოგილოცავთ საქართველოში პუტჩის დამარცხებას. პუტჩისტები მიხვდნენ, რომ მთელი ერის რისხვა დაატყდებოდათ მათ თავს, თუ არ დატოვებდნენ თბილისს. პუტჩისტი ვაჟა ადამიას ბანდამ უკვე დატოვა თბილისი, კიტოვანის ბანდა ემზადება ქალაქიდან გასასვლელად. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მახნოს ბანდის მსგავსი მათი ბანდები დიდხანს ვერ იბოგინებდნენ. მაგრამ კვლავ საჭიროა მთელი ერის მობილიზება, მთელმა ერმა უნდა მიაღწიოს მათ განიარაღებას. მთელი ერი, საზოგადოებრივი აზრი უნდა დაირაზმოს მათ წინააღმდეგ, იმ პუტჩისტი დეპუტატების, იმ ცრუ ინტელიგენტების წინააღმდეგ, რომლებიც მხარში ამოუდგნენ პუტჩისტებს. მთელი ერი უნდა დაირაზმოს ამ მოღალატეების წინააღმდეგ.

უახლოეს ხანებში მომზადდება უზენაესი საბჭოს სესია, სადაც საკმარისად არიან ძალები, ვინც საკადრისად გაუსწორდებიან ჩვენს მოწინააღმდეგეებს.

მოგიწოდებთ, უფრო დიდი მობილიზაციისკენ, რათა აღმოვფხვრათ პუტჩის ყოველგვარი კვალი ჩვენს რესპუბლიკაში — თქვა დასასრულს ზვიად გამსახურდიამ.

•

დაბოლოს, თითქოს ამ ბოლო ხანებში ყოველივე მომხდარით გამოწვეული განცდა და ტკივილი არ გვაკლდა, რომ განგებამაც (ან იქნებ კვლავ საკუთარმა, კიდევ უფრო ზუსტად კი კონკრეტული სამსახურების დაუდევრობამ) არ დაგვინდო და 2 ოქტომბერს კიდევ ერთი უბედურების მოწმე და ტრაგიკული მონაწილე გახადა თბილისელები. როგორც უკვე იცით, 2 ოქტომბერს დაახლოებით 10 საათზე, რკინიგზის სადგურ დიდუბის გადასარბენზე გაჩერებულ რაკეტების კონტეინერებით დატვირთულ საბჭოთა სამხედრო მატარებლის ერთ ვაგონს გაუჩნდა ცეცხლი, რასაც მოჰყვა აფეთქებების მთელი ჯაჭვი. დაშავდა 24 ადამიანი, 11-ს აღმოუჩინეს ამბულატორიული დახმარება, 12 ჰოსპიტალიზებულია, ერთის მდგომარეობა მძიმეა, ერთი ადამიანი გარდაიცვალა.

ისევ სისხლი, ისევ ცრემლი, ისევ უდანაშაულო მსხვერპლი... როდემდე?.. ამ კითხვას დღეს ბევრი თბილისელი, ბევრი ქართველი სვამს. ასევე ბევრი ეძებს მასზე პასუხს. ჩვენ ამ დღეებში თბილისის ქუჩებში გამოსულ არაერთ ადამიანს — როგორც დღევანდელი ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მომხრეთ — ვესაუბრეთ. მათი უმეტესობა შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს შერიგებაში ხედავს. მაგრამ შერიგების გზები საფუძვლიანად განსხვავებული აქვთ. და ამ განსხვავებული აზრების, მოსაზრებების მქონე ადამიანებს ჯერჯერობით უჭირთ, ზოგჯერ კი უბრალოდ არც კი სურთ ერთმანეთის მოსმენა და მით უფრო — გაგება. ამდენად დაპირისპირებაც — „ჩვენ“ და „ისინი“ — ისევ ძალაშია.

**საკუთარი ინფორმაცია**

---

# უცთომელი მხოლოდ ღმერთია

ეს პუბლიკაცია არაა ნაკარნახევი არც რაიმე ნათესაური კავშირის, არც პერსონალურად ვისმეს დაცვის მიზნით, უცთომელი მხოლოდ ღმერთია.

ჩვენ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე მდგომი პიროვნება გახლავართ, თავიდანვე უპარტიო და მთელი შეგნებით რეტროგადი და კონსერვატორი. ჩემი უშუალო წინაპრები იყვნენ წარმომადგენელნი ჭყონდიდელთა იმ დინასტიისა, დავით აღმაშენებლის და თამარის „დარბაზის“ კრების დროს მეფეთა გვერდით რომ ისხდნენ, რაც კარგად აქვს აღნიშნული კ. კეკელიძეს მის მიერ „აზმანი და შარავანდედის“ რუსული თარგმანის შენიშვნებში.

და ჩემში დღემდე ვიბრირებს მარტვილის ზარის გუგუნი, იმ ზარისა, რომლის ხმა ძალიან შორს გაისმოდა.

ბოლშევიკებმა ეს ზარი ომის დროს ჩამოხსნეს სამრეკლოს, გადასადნობად და საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად.

ერთადერთი საბაბი, რომელიც მაიძულებს დღეს სიტყვის თქმას, წარმოადგენს ის სიტუაცია, კინოს სახლის ახლოს და ტელევიზიის შენობასთან რომ წარმოიშვა უსანქციო მიტინგებისა და ბლოკადის სახით.

წინასწარ მოგახსენებთ, რომ არ შეიძლება იყო ინტელიგენტი, თუ იმ აზრით არა ხარ გამსჭვალული, რომ რელიგია კულტურის უმაღლესი ფორმაა. ქართველი ხალხი ყოველთვის ამ შეგნებით იყო გამსჭვალული და ჩვენი კულტურა ამაყობს, რომ მისი ტერიტორია მოფენილია ჯვრის მონასტრის, სვეტიცხოვლის, ალავერდის, გელათის, ატენის და ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ოშკის, ბანასა და სხვა მონუმენტური ძეგლებით. ქართველი ერის ინტელექტუალურ ელიტას არასოდეს უღალატნია გეთსიმანიის ბაღის მწუხარებისა და გოლგოთას დრამისათვის, რასაც არაფერი შეედრება კაცობრიობის ისტორიაში. არა მარტო მართლმადიდებლური რწმენა, არამედ მთელი კათოლიკური სამყარო, ლუთერანული თუ პროტესტანტული ეკლესია, ანგლიკანური სამლოცველო კენტენბერის პრიმასის (ინგლისი) მეთაურობით დღემდე აღუვლენენ ლოცვას ჯვარცმულის ფენომენს, რომლის აუგად ხსენება ნორმალურ ჭკუას არ შეეფერება. სამწუხაროდ, ამ უმაღლეს სულიერ ფასეულობათა დამცირებას ხმარდება ჩვენი ინტელიგენციის ზოგი წარმომადგენლის სამარცხვინო ოპუსები, რომლებიც კარგად განიხილა აბრამიშვილმა გაზ. „ლიტ. საქართველოს“ ფურცლებზე. აქი კომუნისტური რეჟიმის დემონტაჟის შემდეგ გვეგონა, რომ ჩვენ სამუდამოდ გამოვეთხოვეთ ანომალიებს, რომლითაც იყო გამსჭვალული საქართველო 70 წლის მანძილზე და რამაც, ეტყობა, ჩვენი საზოგადოების ნაწილი განუკურნებელი დეგრადაციის გზაზე დააყენა.

დემოკრატია (რომელიც ჩემთვის ძალზე რეალატიური ცნებაა) ყოველთვის გამოყოფს ბრბოს, რომელიც თავის მხრივ შესაფერ ლიდერებს ირჩევს. ათენის დემოკრატიის ინიციატივით გამოუტანეს სოკრატეს შხამით სავსე ფიალის დაცლის განაჩენი, თუმცა მის დროინდელ ბრბოს იმდენი ჭკუა ეყო, რომ ღვთაებრივ ფილოსოფოსს საკანიდან გაქცევა და თავის შველა შესთავაზა.

დღევანდელ ბრბოს ამგვარი ტოლერანტობა არ გააჩნია. ისინი თოფებით არიან შეიარაღებული. დღევანდელი ბრბო ხელმოცარულების, ყაჩაღებისა და ხულიგნებისგან შედგება, რამეთუ ისინი ვერ იტანენ სხვის სილამაზეს, სხვის დამსახურებასა და ფუნდამენტურ ცოდნას და ა. შ. მათი არხეზის ქვეცნობიერებიდან ჰკივის ერთი ხმა: რატომ მჯობია იგი, რატომ უკმევენ სხვას გუნდრუკს, მე კი შინაგანად ვგრძნობ, რომ ათვალწუნებული და დაუფასებელი ვარ.

არავინ ეძებს თავის თავში ასეთი განწყობილების მიზეზს!

ბრბომ (ბერბიჭაშვილებმა) იმსხვერპლა ილია ჭავჭავაძე. იგი ყაჩაღებმა მოკლეს და არა ბაგრატიონებმა ან მუხრან-ბატონებმა! და ეს ფაქტი ისტორიულ გაკვეთილად უნდა დარჩეს ჩვენში.

არ არის სისაძაგლე, რომელსაც ბრბომ არ მიმართოს, არ არსებობს არც ერთი ამორალური ფაქტი, რომელიც ბრბოს არ აჰყავდეს ეროვნული პრინციპის რანგში. ბრბო ლაქიებისაგან შედგება, ხოლო ლაქიას ტოლსტოის თქმისა არ იყოს, არავითარი წარმოდგენა არა აქვს „ადამიანის სიდიადეზე“. არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბრბო მარტო ქვასროლიებიდან არ შედგება, მათ შორის შეიძლება ვიპოვოთ ფსევდო-მეცნიერები (სხვის მიერ დაწერილი სადოქტორო დისერტაციების მიმთვისებელი ჯიბგირები), სანტიმენტალური მანდილოსნები და მისთ.

შფოთის თავები!

ჯერ იდევ უდიადესი პლატონის სქემით ტირანია, ოლიგარხია და დემოკრატია საძაგელი ფორმებია პოლიტიკური მმართველობისა, ხოლო არისტოკრატია ან არისტოკრატიული რესპუბლიკა — იდეალი. ბოლშევიკებმა მოსპეს ეს ფენა საქართველოში (გაიხსენეთ თუნდაც კასპის მიდამოებში აბაშიძე-ლახვართა გვარის ამოკლეტა და მათი გვამების თხრილებში გადაყრა, 1924 წლის აჯანყება და სხვ) 1937–1938 წლებში შორეულ ციმბირში უკრეს თავი ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთ. ამ კოშმარს გაექცნენ: ზურაბ ავალიშვილი, მიხაკო წერეთელი, გრ. რობაქიძე, ხოლო შინ დარჩენილებს: ივ. ჯავახიშვილს, კ. გამსახურდიას, გ. ქიქოძეს, მიხ. ჯავახიშვილს, მ. გოგიბერიძეს და სხვებს, ცხოვრება ცინიკურ წამებათა და მუდმივ დევნად გადაუქციეს.

ყოველივე ამის თვითმხილველი ვარ.

მეორე მსოფლიო ომის დროს უფრო საშინელი რამ შეიძლება მომხდარიყო. მარტო ის რად ღირს, რომ თუ ფელდმარშალ ლისტის სატანკო არმია საქართველოს საზღვრებს მიუახლოვდებოდა, ქართული ინტელიგენცია ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით წინასწარ უნდა გაეჟლიტათ. პროფ. გ. ციციშვილის მიერ გამოქვეყნებულ ვრცელ სიაში ამ სტრიქონების ავტორიცაა მოხსენებული. ალბათ, რომელიღაც პროვოკატორს თუ ჩეკისტს გავახსენდი ყოველთვის ჩრდილში მყოფი და იგნორირებული ლიტერატორი!

მენშევიკებმა ვერ მოუარეს საქართველოს. თქვენი გაზეთის მკითხველებს ვთხოვ, გადაიკითხოს რ. გაბაშვილის წიგნი „რაც მახსოვს“.

ვამთავრებ იმით, რაც თავშივე უნდა მეთქვა. ჩვენი ერის წინაშე დგას გრანდიოზული ამოცანა: საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანა. გავიხსენოთ ილიას უწინარესი ოცნება თავისუფლებაზე, როგორც ერის ბედნიერების, უწინარეს პირობაზე. გვეყოფა ამდენი გათიშვა, ძმათა მკვლელობანი, ურთიერთ კონფრონტაციები. უნდა ვიზრუნოთ უფრო მაღალ იდეალზე: ერებს შორის მეგობრობაზე, „კავკასიის ერთიან სახლზე“ (ეს ჩემი სიყმაწვილიდან გამოყოლილი ოცნებაა), სულიერ სისადავესა და სინაზეზე, რომლის გარეშე არც კულტურა იქმნება და არც პოლიტიკა...

**აკაკი ბაჭერელია**

---

**სოხუმის ჰუმანიტარული ინსტიტუტი აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

დღის სწავლების განყოფილება—ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ისტორია, დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა; საღამოს სწავლების განყოფილება — ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია და დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა და მეთოდიკა.

ჰუმანიტარული ინსტიტუტი სრულ სამეურნეო ანგარიშზეა. სტუდენტთა მომზადება წელიწადში ჯდება დღის სწავლებაზე 5000 მანეთი, საღამოს სწავლებაზე — 4000 მანეთი.

აბიტურიენტებისაგან საბუთების მიღება იწარმოებს 1991 წლის 10 ოქტომბრამდე. გასაუბრება 12-16 ოქტომბერს. მეცადინეობა დაიწყება 21 ოქტომბერს.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

**მისამართი: ქ. სოხუმი, ჰამბას ქუჩა, პირველი შესახვევი, № 13. მეცამეტე საშუალო სკოლა. ტელეფონი 2-45-78.**

ორი თვალსაზრისი

# „დემოკრატია ანარქია არ არის“

**ყველასათვის** ცნობილია, რომ დღეს საქართველოში პოლიტიკური შინაომია გაჩაღებული. ისიც ცხადია, რომ ამ ომის გაჩაღების ინიციატორია ოპოზიცია, რომელიც კანონიერ ხელისუფლებას „დემოკრატიზაციის“ ლოზუნგით ებრძვის. ოპოზიცია ერთხმად გაჰკივის, რომ საქართველოში დემოკრატია არ არის, რადიო-ტელევიზია, პრესა მონოპოლიზებულია არსებული ხელისუფლების მიერ. საქართველოში უნდა დამყარდეს ნამდვილი დემოკრატიაო. მართალია, რესპუბლიკაში ჯერჯერობით არ იგრძნობა ნამდვილი დემოკრატიის სუნთქვა, მაგრამ მის მისაღწევად ოპოზიცია აკრძალული ხერხებით იბრძვის. უფრო მეტიც, მისი ერთი ნაწილი, იარაღის ძალით ცდილობს კანონიერი პრეზიდენტის გადაყენებას და მით „ჭეშმარიტი დემოკრატიის“ დანერგვას, რაც ანტიდემოკრატიული, ანტიკონსტიტუციური ქმედებაა და სხვა არაფერი. დავუშვათ და ეს იარაღმომარჯვებული ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში მოექცა. როგორ ფიქრობთ, იგი ნამდვილი დემოკრატიის დამყარებისათვის იზრუნებს? არამც და არამც. ის ყოველთვის იმის ცდაში იქნება, როგორმე შეინარჩუნოს ხელისუფლება, რაც უეჭველად არნახული რეპრესიებით დამთავრდება.

საჭირო, რომელიც დღესდღეობით ჩვენში არ არის. სწორედ, ძლიერ ხელისუფლებას, მით უფრო ეროვნულს, ძალუძს ქვეყანაში დაამყაროს სრული წესრიგი, ამოძირკვოს კორუფცია, მაფია, რომლებიც აგრე მყარად არის გამჯდარი საზოგადოების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში. ყოველივე ამასა და სახელმწიფოს მთელი ორგანიზმის ტრანსფორმაციასთან ერთად, მან თანდათანობით უნდა განახორციელოს ჭეშმარიტ დემოკრატიაზეც გადასვლა. ისტორიას არ ახსოვს, რომ ახალდაბადებულ სახელმწიფოსა თუ კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატია ერთბაშად დამყარებულიყოს. ასე, მაგალითად, აშშ-ს თავისი არსებობის დასაწყისშივე როდი უზეიმია დემოკრატია. მხოლოდ მრავალი წლის დაუღალავი შრომისა და ბრძოლის შედეგად შეძლო ამერიკელმა ხალხმა დემოკრატიული სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ასე რომ, ერთი ხელის მოსმით ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარება შეუძლებელია. მისი მიღწევისათვის საჭირო პირობების შემზადებაა აუცილებელი. სექტემბრის ამბებმა დაგვარწმუნეს, რომ ჩვენს საზოგადოებასაც გარკვეული შემზადება სჭირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ორი საუკუნის მანძილზე თავისუფალ

მელი ქვეყნის ხელმძღვანელი აიტანდა კბილებამდე შეიარაღებული ოპოზიციის ამგვარ პარპაშს. სხვა მხრივ ოპოზიციის მიერ მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ზ. გამსახურდიას დიქტატორად „მონათვლა“ სასიკეთო შედეგს ვერ მოუტანს ოპოზიციას და საერთოდ საქართველოს. პირიქით, ამგვარი ეპითეტით ქართველი კაცის შემკობა ერთ მშვენიერ დღეს ბუმერანგივით დაუბრუნდება მთელ ქართველ ერს. ნუთუ ჰგონიათ, რომ იმ ავადსახსენებელი სტალინის წარმომავლობა დაავიწყდა მსოფლიოს. ახლა კი, როცა მისნაირად ჩვენ თვითონვე ვაცხადებთ ზ. გამსახურდიას, ეს ცივილიზებული სამყარო ხომ იფიქრებს, რომ ამ ხალხს დიქტატურისკენ ჰქონია მიდრეკილებაო და ზურგსაც შეგვაქცევს.

როგორც ჩანს, ოპოზიცია ერთმანეთისაგან კარგად ვერ ანსხვავებს ან არ უნდა განასხვავოს დემოკრატია და ანარქია. აშკარად ჩანს, რომ მისი ერთი ნაწილი დემოკრატიული სამოსელით შენიღბული პოლიტიკური ჰეგემონიის ჟინით შეპყრობილი და განაწყენებული ადამიანებია. ზოგს დემოკრატია მართლაც შეიარაღებული ბანდების ჯირითი ჰგონია, ხოლო ზოგიერთს ამა თუ იმ პიროვნების დისკრედიტაცია. არა, მეგობრებო, დემოკრატია არც ერთია და არც მეორე. დემოკრატია კონსტრუქციულ აზრთა ჭიდილია, სახალხო არჩევნებია, პიროვნების უფლებებისა და კანონების დაცვაა. მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ყველა ამ პრინციპს დღევანდელი ხელისუფლება უნაკლოდ ასრულებდეს, თუმც კი მისი უზადოდ განხორციელებაც ძალზე ძნელია. ჩვენ ხომ ახლა შევუდექით ახალი საქართველოს მშენებლობას, ახალი დემოკრატიული სტრუქტურების შექმნას, ამ ეტაპზე კი შეცდომებიც რასაკვირველია, მრავლად იქნება. არ ვივიწყებ, აგრეთვე იმასაც, რომ დემოკრატიული პრინციპები სრულად და უნაკლოდ თვით კლასიკურ დემოკრატიულ

…

წინათ ამერიკელ პოლიციელთა მიერ ზანგი ახალგაზრდის უმოწყალოდ ცემა-ტყეპა. მაგრამ იქაური ოპოზიციონერები ჯვაროსნულ ომს როდი უცხადებენ მთავრობას, არამედ კონსტრუქციული პოზიციებიდან აკრიტიკებენ და ამით ეხმარებიან მას შეცდომების გამოსწორებაში. თქვენც ასევე, კონსტრუქციული პოზიციებიდან უნდა აკრიტიკოთ იგი, რათა მან დროულად შესძლოს ამა თუ იმ შეცდომის გამოსწორება. თუ ჩვენი შეიარაღებული ოპოზიცია იარაღს დაყრის და კონსტიტუციური ნორმების ფარგლებში „შეებრძოლება“ არსებულ ხელისუფლებას, მაშინ ქვეყანა ანარქიის მორევიდან ამოვა და სრულ დამოუკიდებლობასა და ნამდვილ დემოკრატიასაც მალე ვიზეიმებთ.

**თემურ თოდუა,**
დოცენტი.

# „მაგარი ხელი“ თუ ლიბერალიზმი?!

…

მომხრენი ვართ და გვინდა, რომ პიროვნების თავისუფლება იყოს პრინციპი ჩვენი ცხოვრებისა, რომ ადამიანმა იგრძნოს თავისი, როგორც პროგრესის მთავარი წარმმართველი ძალის როლი საზოგადოებაში.

…

ნებისმიერ მოქალაქეზე, უსათუოდ ვრცელდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაცია, რომლის პირველ მუხლში შავით თეთრზე წერია: ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით და არავისა აქვს ნება წაართვას განგების მიერ მინიჭებული თავისუფლება. და აქ მინდა მოვიყვანო ცნობილი ეკონომისტის, ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰეიკერის სიტყვები: „თუ ადამიანებს მივცემთ საშუალებას გამოავლინონ მთელი თავიანთი შესაძლებლობანი, მაშინ ისინი შექმნიან სპონტანურ, თვითრეგულირებად, ბედნიერ საზოგადოებას“. სწორედ ამიტომ გვჭირდება დღეს ისეთი ხელისუფლება, რომელიც იხელმძღვანელებს ჭეშმარიტად დემოკრატიული და ჰუმანური პრინციპებით.

**რევაზ ხადურიშვილი,**
მარნეულის რაიონის სოფელ სიონის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ორი თვალსაზრისი

---

ერთიც ხალხს ესაუბრება და მეორეც.
ერთსაც უსმენენ ან არ უსმენენ და მეორესაც.
ერთზეც ბევრია დამოკიდებული და მეორეზეც.
დღეს ხალხთან ყოველდღიური შეხვედრა და ახლოს დგომა ყველაზე უფრო საპასუხისმგებლოა, რთულია და სახიფათოც.
ვის ვუსმენთ დღეს?
საქართველოს რადიოს.
ჩემთვის, პირადად, იმ ბევრ გაუგებარ რამეთაგან (რადიოთი რომ გადმოსცემენ) ერთ-ერთი გაუგებარი ის არის, როგორ შეიძლება დღეს ამდენი სიმღერა და მხიარულება? როგორ შეიძლება რადიოთი გაუთავებლად გადმოსცემდნენ ქართველი მომღერლების სიმღერებს, მაშინ, როცა თვითონ ისინი ასეთი დაზაფრულები, პირქუშნი დგანან მიტინგებზე?!
მე ვერ გამიგია, როგორ შეიძლება იბრძოდნენ დღეს ჟურნალისტები ერთმანეთის წინააღმდეგ (პრესა და რადიო-ტელევიზია)...
მე ვერ გამიგია...
აღარ ჩამოვთვლი, რადგან თემას გადავუხვიე,
მოკლედ, დღეს ეს ორი ადამიანია ყურადღების ცენტრში (თუმცალა, სხვადასხვა ყურადღების და სხვადასხვა ცენტრებში...)
კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ მათ:

**ავთანდილ რცხილაძე — უზენაესი საბჭოსთან გამართული მიტინგების წამყვანი.**



# სანამ ქვემეხები დუმან...

…

განცხრომით ეცხოვრა? კარიერისტი და შემგუებელი რომ ყოფილიყო რეჟიმის მიმართ, შეეძლო უდიდესი თანამდებობისათვის მიეღწია. დღეს შეიძლება აკადემიკოსიც ყოფილიყო, მაგრამ... არა! ამ ყველაფერს შეელია თავისი პიროვნება, პირადი ბედნიერებაც. მან და მისმა მეუღლემ, ქალბატონმა მანანამაც გაწირეს ყველაფერი. ტერორს განიცდიდნენ ბატონი ზვიადი, ქალბატონი მანანა, მათი შვილები — ცოტნე და გიორგი, ტერორს განიცდიდნენ...

**— სად არის ახლა პრეზიდენტის ოჯახი?**

— თბილისში არიან, სახლში.

— ლევან ღვინჯილიას მე პირადად არ ვიცნობ. მე მას ასეთ შეკითხვას დავუსვამ: ბატონო ლევან, რატომ კადრულობთ თქვენ ტყუილს, ჭორების, დეზინფორმაციის გავრცელებას.

გონს მოეგეთ. საჯაროდ აღიარეთ თქვენი შეცდომები, კი ბატონო, იყავით ოპოზიცია, მტრები ნუ იქნებით. ვიკამათოთ ტელერადიოს, პრესის საშუალებით. მიტინგებზე დავდგეთ, ვიკამათოთ... დავიცვათ ეთიკური, ზნეობრივი ნორმები, ერთად ვიბრძოლოთ და ვემსახუროთ ჩვენს მშობლიურ ერს, საქართველოს.



ლებების შესახებ კანონის დაცვას. როცა ამბობენ, რომ ჩვენი მოთხოვნები არაკონსტიტუციურია — სასაცილოა.

**— რა მოსწონს [illegible] ხალხს?**

— აქ არავინ არის [illegible] ყვანილი. ყველა ადამიანი თავისი სურვილით მოდის. აქ ღამის სათევად არ რჩება მიტინგის ყველა მონაწილე და არც არის საჭირო. არც მოვუწოდებთ ჩვენ ამისკენ, მაგრამ ვინც აქ მოდის მოსასმენად, თუ ისეთ რამეს არ იტყვი, რაც მის სულსა და გულს შესძრავს, ის ტაშს არ დაუკრავს.

**— იქითა მიტინგს თუ დასწრებიხართ?**

— იქითა მიტინგებს პირადად არასდროს დავსწრებივარ იმის გამო, რომ ჩემდა საბედნიეროდ (თუ საუბედუროდ, არ ვიცი) ეკრანზე ჩემმა გამოჩენამ ამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე ის შედეგი გამოიღო, რომ ხალხი მცნობს.

ამას ტრაბახით და თავმოსაწონად არ ვამბობ. უბრალოდ, როცა 10 წლის მანძილზე კვირაში ერ-

…

ში. რატომ სჭირდება დღეს პრეზიდენტს დაცვა?! იმიტომ, რომ პრეზიდენტს ძალიან ხშირად ესხმიან თავს, აყენებენ შეურაცხ-

…

ტომ, რომ ბატონმა ზვიადმა 15 წლის ასაკიდან დაიწყო ეს ბრძოლა, კარგად ვიცით ვისი შვილია, რა გზა გაიარა. ხომ შეეძლო

…

**— ახლა მე მივდივარ იქით და გაძლევთ საშუალებას დაუსვათ ბატონ ლევან ღვინჯილიას ერთი შეკითხვა.**

…

მეჭირა იმ ჟურნალისტებისათვის, რომლებიც ითხოვენ ელემენტარულ რამეს — პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუა-

…

ივგლივ ცინიზმია...
— დავიღალე — თქვა კაცმა — აღარ შემიძლია...

**მაია ჭალაგანიძე**
**ზურაბ ქავთარაძის ფოტოები.**

---

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ აკაკი ასათიანს

ბატონო აკაკი! ვინაიდან საშუალება არა გვაქვს შეგხვდეთ პირადად და გაგიზიაროთ ჩვენი პოზიცია, გთხოვთ, პრესით ან ტელევიზიის საშუალებით გვიპასუხოთ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხზე.

ქართველი ერისათვის ესოდენ მძიმე მომენტში, როდესაც წუთები და საათები რჩება სამოქალაქო ომის დაწყებამდე, რატომ არ იწვევთ უზენაესი საბჭოს რიგით, ან თუ გნებავთ საგანგებო სხდომას? რატომ გადაეცათ ცალკეულ ჯგუფებს, პირებსა და ავტორიტეტებს დაპირისპირებულ მხარეთა შორის პოლიტიკური დიალოგის მისია მაშინ, როდესაც ქართველმა ხალხმა ეროვნული პარლამენტის არჩევით მას ცალსახად მიანიჭა მისი მომავალი ბედის, კონსტიტუციურობის, ერისა და მოქალაქეების სიცოცხლისა და სიმშვიდის რწმუნება?

თვით სიტყვა უზენაესი ხომ ყველაფრის გამომხატველია, ერისა და ხალხის მისდამი ნდობის დასტურია.

იქნებ დაიმალა უზენაესი საბჭო, გაგვიმარტეთ, რატომ, რისთვის, ვისი ან რისი მიზეზით? ან დედაქალაქში შექმნილი მდგომარეობა არ იძლევა ამის საშუალებას? ჩვენ, პირიქით, მიგვაჩნია, ბედის სასწორზე დადებულ ერსა და ხალხს სწორედ პარლამენტმა უნდა უთხრას თავის გადამწყვეტი სიტყვა.

საქართველოს მასწავლებლობას, ისე, როგორც მთელ ქართველ ერს, უაღრესად აშინებს და აღშფოთებს დედაქალაქში და რესპუბლიკაში შექმნილი ფეთქებადი მდგომარეობა, ფსიქოზმა და სტრესმა კულმინაციას მიაღწია.

მოგმართავთ რა აღნიშნული შეკითხვით და ველით რა თქვენგან ოპერატიულ და ამომწურავ პასუხს, ვადასტურებ, რომ ვარ საქართველოს სრულუფლებიანი მოქალაქე, თქვენი ამომრჩეველი, პედაგოგი, მამა და ბაბუა, ერთ-ერთი ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავმჯდომარე, რომლის წევრებმაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანეს 1989 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიული არჩევნების, 1990 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 26 მაისის საპრეზიდენტო არჩევნების გამარჯვების საქმეში.

ვგმობ ყოველგვარ ძალადობას, სისხლისღვრას, ანარქიასა და ძალმომრეობას. მხარს ვუჭერ კანონისა და კონსტიტუციის უზენაესობას, ყველა სადაო საკითხის პოლიტიკური დიალოგითა და პარლამენტური გზით გადაჭრას.

**პატივისცემით, სრულიად საქართველოს პედაგოგთა სამართლებრივი დაცვის კავშირის მთავარი საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარე ბორჩა ბურბენიძე**

**ქ. თბილისი. 1991 წლის 3 ოქტომბერი**

**დოკუმენტი**

**წინადადება**

**ეროვნული გვარდიის დროებითი სტატუსის შესახებ**

**იქედან გამომდინარე, რომ ეროვნული გვარდიის სტატუსის განსაზღვრა დღევანდელი სახიფათო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების არსებითი პირობაა, მხარეებისა და საზოგადოების წინაშე ვაყენებთ შემდეგ წინადადებას:**

**შეიქმნას გვარდიის საბჭო და გვარდიის შტაბი ყველა განაყოფის წარმომადგენელთა მონაწილეობით პარიტეტულ საწყისებზე.**

**გვარდიის მეთაური ინიშნებოდეს უზენაესი საბჭოს მიერ გვარდიის საბჭოსთან შეთანხმებით ამ გვარდიის საბჭოს მიერ არჩევითი წესით.**

**გვარდია ექვემდებარებოდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს.**

**გვარდიის ზემოთხსენებული სტატუსი იყოს დროებითი. კონფლიქტის მოგვარების შემდეგ იგი შეიცვალოს ახალი უფრო სრულყოფილი ფორმით.**

**ნ. ნათაძე**

---

**საქართველოს დემოკრატიული ფრონტის გამგეობის განცხადება**

საქართველოს დემოკრატიული ფრონტი იმთავითვე აქტიურად ჩაება ოპოზიციური პარტიების მიერ ა. წ. სექტემბერში დაწყებულ საპროტესტო აქციებში. ვიზიარებთ რა ოპოზიციური პარტიების მიერ წამოყენებულ ძირითად პოლიტიკურ მოთხოვნებს, თავს მოვალედ ვთვლით განვაცხადოთ, რომ დაუშვებლად მიგვაჩნია ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლის ნებისმიერი გზა, გარდა მშვიდობიანისა. შექმნილ აფეთქებასაშიშ ვითარებაში გადაუდებელ ამოცანად ვთვლით ურთიერთდაპირისპირებულ შეიარაღებულ ძალთა დაშორიშორებას, რაც ნორმალურ პირობებს შექმნის ვითარების სტაბილიზაციისათვის საქართველოში.

**სდფ-ის გამგეობა**
30. 09. 1991

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთაშორისო ქრონიკა

რადიო „თავისუფლება“ იუწყება, რომ ალმა-ათაში დასრულებულ მოლაპარაკებებზე 12 საბჭოთა რესპუბლიკიდან რვამ პრინციპში მოიწონა ახალი ეკონომიკური ხელშეკრულების პროექტი. ინტერფაქსის სააგენტოს ცნობით, რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიისა და შუა აზიის 5 რესპუბლიკის ლიდერები მზად არიან ხელი მოაწერონ შეთანხმებას სუვერენულ სახელმწიფოთა ეკონომიკური გაერთიანების შექმნის შესახებ, თუმცა იმავე ინტერფაქსის სააგენტოს მოჰყავს რუსეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ი. სილაევის სიტყვები იმის შესახებ, რომ 12-ვე რესპუბლიკა აპირებს ახალი ხელშეკრულების ხელმოწერას. ლატვიის პრემიერ-მინისტრის ი. გოდმანისის თქმით, ლატვიას სურს ეკონომიკურ კავშირში შესვლა მხოლოდ ასოცირებულ წევრად, რადგან მომავალში ის აპირებს ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლას. რაიმე ახალ იდეას ან კონცეფციას ალმა-ათაში ხელმოწერილი კომუნიკე არ შეიცავს — დაჩქარებული გადასვლა საბაზრო ეკონომიკაზე, ფინანსურ-საკრედიტო პოლიტიკის კოორდინირება — ამის შესახებ უკვე არაერთხელ ითქვა.

ბი-ბი-სის ცნობით, რესპუბლიკათა ლიდერებმა მიაღწიეს წმინდა პოლიტიკურ შეთანხმებებსაც — რომ აღიარებენ ამჟამად არსებული საზღვრების ხელშეუხებლობას მომდევნო 50 წლის მანძილზე, ერთობლივად განახორციელებენ კონტროლს ქვეყნის ბირთვულ არსენალზე, ასევე მოაწესრიგებენ ეროვნებათშორის ურთიერთობებს. ეს არის პირველი შეთანხმება საბჭოთა რესპუბლიკებს შორის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის შემდეგ. თუმცა ბი-ბი-სის მოსკოველი კორესპონდენტი მიუთითებს, რომ კვლავ გადაუჭრელია მრავალი პრობლემა და ჯერჯერობით გაურკვეველია, როდის მოაწერენ ხელს ამ ხელშეკრულების საბოლოო ტექსტს.

●

აშშ პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა გადაწყვიტა, მოსკოვს გამოუყოს 400 მილიონი დოლარის კრედიტები საბჭოთა კავშირში სურსათის უკმარისობასთან დაკავშირებით. როგორც ბუშმა თქვა, ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს სურსათის დროულ მოწოდებას საბჭოთა კავშირისათვის, რათა ხალხმა დაძლიოს წლევანდელი მკაცრი ზამთარი.

ამავე დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. მეიჯერი კონსულტაციებს ატარებს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების და მსოფლიოს 7 წამყვანი ინდუსტრიული სახელმწიფოს ლიდერებთან (წელს „დიდი შვიდეულის“ თავმჯდომარეს სწორედ ჯ. მეიჯერი წარმოადგენს), რათა განიხილოს საბჭოთა კავშირისათვის ჰუმანიტარული და სასურსათო დახმარების გაწევის საკითხი. სამშაბათს პრეზიდენტმა მ. გორბაჩოვმა განაცხადა, რომ ის თითქმის 1/3-ით, ანუ 10 მილიარდ დოლარამდე ამცირებს საბჭოთა კავშირის თხოვნას დასავლეთის მიმართ სასურსათო დახმარების გაწევის შესახებ.

●

ტაჯიკეთის პარლამენტმა, რომლის შემადგენლობაში დომინირებენ კომუნისტები, დაუთმო ოპოზიციის მასობრივ გამოსვლებს და კვლავ შეაჩერა ადგილობრივი კომპარტიის მოღვაწეობა აგვისტოს სახელმწიფო გადატრიალების ცდაში მისი როლის გარკვევამდე. თავდაპირველად, პარტიის მოღვაწეობა აიკრძალა სექტემბერში ტაჯიკეთის უზენაესი საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის ასლონოვის მიერ, მაგრამ პარლამენტმა გააუქმა მისი დადგენილება, აიძულა ის გადამდგარიყო და პრეზიდენტის პოსტზე დანიშნა კომუნისტი ნაბიევი. ამას მოჰყვა ოპოზიციის მასობრივი პროტესტები და მრავალრიცხოვანი დემონსტრაციები. ისინი მოითხოვენ ასლონოვის დაბრუნებას და ახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას.

პრეზიდენტმა გორბაჩოვმა გადაწყვიტა, სიტუაციის სტაბილიზაციის მიზნით, დუშანბეში გაგზავნოს პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს 2 წევრი — სანკტ-პეტერბურგის მერი ა. სობჩაკი და აკადემიკოსი ა. ველიხოვი.

●

აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით მუშაობა დაიწყო ამერიკის საელჩოებმა ესტონეთში, ლატვიასა და ლიტვაში. როგორც დეპარტამენტის წარმომადგენელმა მარგარეტ ტატუაილერმა განაცხადა, საელჩოები დროებით განლაგებულია ტალინის, ვილნიუსის და რიგის სასტუმროებში, სანამ მათ არ მოუძებნიან შესაბამის შენობებს. მისი თქმით, საელჩოებს ჯერჯერობით მეთაურობენ საგანგებო რწმუნებულები, მოგვიანებით პრეზიდენტი ჯ. ბუში დანიშნავს ელჩებს ბალტიის თითოეულ რესპუბლიკაში.

●

რუმინეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ტეოდორ სტალაჟანმა დაიწყო კონსულტაციები პოლიტიკურ პარტიებთან, რათა ჩამოაყალიბოს მინისტრთა ახალი კაბინეტი. ის აპირებს შექმნას ეროვნული ერთიანობის მთავრობა, რომელშიც შევლენ ძირითადი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, თუმცა თვითონ არ არის არც ერთი პარტიის წევრი. ტელევიზიით გამოსვლისას მან განაცხადა, რომ მთავარ ყურადღებას დაუთმობს ეკონომიკურ პრობლემებს. ბი-ბი-სის კორესპონდენტი ბუქარესტიდან იუწყება, რომ ტ. სტალაჟანის კანდიდატურა უპასუხებს ოპოზიციის მოთხოვნებს, კერძოდ იმის შესახებ, რომ პრემიერი უნდა იყოს ნეიტრალური, თუმცა ის წამოაყენა გადამდგარმა პრემიერმა პ. რომანმა, ამასთან, ის ყოფილი ფინანსთა მინისტრია. შეგახსენებთ, რომ პ. რომანი პრემიერის პოსტიდან გადადგა გასულ კვირას ოპოზიციის მასობრივი, მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტების შემდეგ.

**ირინა თევდორაშვილი**
**ნინო ლომაძე**


# ფირმა „ჯორჯიას“ ექსპრეს ბიზნესის აქციის მოთამაშეთა საყურადღებოდ

გთავაზობთ „ექსპრეს ბიზნესი 50“-ის აქციებს. თქვენ არ დაგჭირდებათ აქციის გასაღებაზე ზრუნვა, აქციის გასაღების მოვალეობას ჩვენ თვითონ შევასრულებთ.

**გისურვებთ წარმატებას**

**მისამართი:** ვაზისუბნის დასახლება, 7-ა კორპუსი (საბაგირო გზის ამოსასვლელთან), მუშაობს 10 საათიდან 18 საათამდე.

(თან იქონიეთ პასპორტი).


## ჩვენ, ცა და ქვეყანა




### ყოველკვირეული ასტროეკოლოგიური პროგნოზი

**(5-12 ოქტომბერი)**

მომავალი კვირის დამდეგსვე (5-6-X) ერთიანდებიან პოლუსები „ძალმომრეობა“ პლუს „საფრთხე“ პლუს „მსხვერპლი“, მოსალოდნელია აქამდე გადადებული შეიარაღებული კონფრონტაციის ესკალაცია. ისევ მოვუწოდებთ დაპირისპირებულ ძალებს ამჯერად მაინც (რაც არ მოხდა 30-IX-სთვის) ნუ გახდებიან კოსმიურ ძალთა ავადმქმნელი კონფიგურაციის სათამაშო ფიგურები.

8-ში მთავრობისადმი საფრთხე რეალურ სიმწვავეს მიაღწევს. ეს საფრთხე უფრო გაიზრდება 13-17 რიცხვებში. 12.X-სთვის მოსალოდნელია მცირე მიწისძვრის ბიძგი (3-4 ბალი), თანხლებადი უარყოფითი მოვლენებით (ავარიები, ამინდის შეცვლა, სოციალური „აღშფოთებები“ და სხვ.)

საქართველოს ისტორიაში 1991 წლის ოქტომბრის შუა რიცხვები შეიძლება ჩაიწეროს „ოქტომბრის დღეების“ სახელით. თუ რა მნიშვნელობა ექნებათ მათ ეს ამჯერად მთლიანად ისტორიის შემქმნელ უბრალო ადამიანთა გადასაწყვეტია და მათ ხელთაა, ამიტომ ფართო მოსახლეობას ვურჩევთ, ნუ გაექცევიან ისტორიულ პასუხისმგებლობას, გულგრილობა ხომ სიბოროტის დამკვიდრების ყველაზე ხელშემწყობი პირობაა, ნუ გადავდგამთ დღეს ნაბიჯს, რომლის პასუხისმგებლობა შეიძლება ხვალ თავს დაგვატყდეს. გამოვიჩინოთ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

მომავალი კვირის კოსმიური პასუხისმგებლობის ამსახველი სიტყვებია: იკითხეს, რას ნიშნავს „დარიგება“? „დარიგება“ იგივეა რაც „მიბაძვა“, რასაც ზემდგომი აკეთებს, იმას ბაძავს ქვემდგომი. ხალხი ბუნებით, გულუბრყვილოა და თუ ის არ დაარიგე — უგზო-უკვლო დარჩება. ამიტომ იძახდნენ: გაგზავნო ხალხი საომრად დაურიგებელი ალთქმების გარეშე, იგივეა, რაც მას გაეყარო. „ბო-ჰუ ტუნი“ — ძველი ჩინური კლასიკა.

**გ. გ.**

## წერილი რედაქციას

# რა დავარქვათ ქართულ ფულს?

ამ თემაზე ბევრი ითქვა და დაიწერა, მაგრამ შედეგი ჯერაც არ ჩანს. ამიტომ ვფიქრობ, სანამ გადავწყვეტთ, თუ რა დავარქვათ ეროვნულ ფულს, უნდა გვახსოვდეს მთავარი, რომ ეს სახელი მას სამუდამოდ დარჩება.

ერთი სიტყვით, ეროვნული ფულის სახელის შერჩევაში მთელი ერი უნდა მონაწილეობდეს. მეტი ცინცხალი აზრი, მეტი მართებული წინადადება და საჯარო განხილვა, რათა ყველაზე ნაღდი, საუკეთესო, ჭეშმარიტი სახელი შეირჩეს. აქ ასჯერ გაზომვა ვერ უშველის, ათასჯერ უნდა მოზომვა და ერთხელ მოჭრა.

დიახ, ეროვნული ფულის შესახებ, მისი ახალი სახელის გარშემო ბევრი მსჯელობს. ვეცნობი მათ, ზოგს ვეთანხმები, ზოგს არა. დიდი სურვილი მაქვს მხარი დავუჭირო სწორედ იმას, რაც ყველაზე ოპტიმალურ ვარიანტად მიმაჩნია.

ცნობილია, რომ ქართული ფულის ოქროს ერთეულს ერქვა „ტალანტი“. ეს სახელი როგორც საწერად, ასევე გამოსათქმელადაც ადვილია ყველასათვის. გასაგებია რაცა მაქვს მხედველობაში.

სხვა საგაზეთო სტატიაში განხილული იყო „მარჩილი“ — ქართული ფულის უძველესი სახელი. ადრეც მსმენია, რომ ქართულ ფულს მარჩილი ერქვა. ლექსიც კი არის „ქისა მარჩილის“ შესახებ. მიუთითებდნენ, რომ „მარჩილი“ მორჩილს, პატარას ნიშნავს.

ასე რომ, ჩემის აზრით, ქართულ ფულს — მანეთს „ტალანტი“ უნდა ერქვას, ხოლო წვრილ ფულს „მარჩილი“. თუ ვინმე უკეთესს იტყვის — ვეთანხმები! თუ ვინმემ ბრძანა, ეს პირველად მე ვთქვიო და ჩემი ვარიანტიაო, დაიჩემა, იმასაც ვეთანხმები: შიმშილობის გამოცხადება და სხვა აქციები ამ საქმესთან დაკავშირებით საჭირო არაა, ყველას ჩემი თავი ენაცვალოს.

**ჯუმბერ აბრამია**

## სურათი ჩვენი ცხოვრებიდან

# სად ვიყიდოთ შაქარი?

— გამაგებინეთ, ერთი, მერამდენედ უნდა მოვიდე?

— რა ვქნათ, ბატონო, არა გვაქვს და არც ის ვიცით, როდის გვექნება!

— ბოლოს და ბოლოს, ვარ თუ არა სიაში?

— კი ხართ, როგორ არა ხართ.

— მეკუთვნის თუ არა ხუთ სულზე ხუთი კილო შაქარი?

— რა თქმა უნდა, გეკუთვნით.

— მაშ, რატომ არ მომეცით წინა თვეში?

— თქვენ იმ დროს მოხვედით, რომ აღარ იყო, სხვებიც დარჩნენ ისე, ვინც დააგვიანა.

— როგორ? განა ყველასთვის არ იყო განკუთვნილი თითო კილოგრამი?

— კი, იყო, მაგრამ ცოტა მივიღეთ.

— ესე იგი, საქმე დასწრებაზე ყოფილა და ვინც დააგვიანებს და სწორედ იმ დღეს არ მოვა, როცა თქვენ შაქარს მიიღებთ, ისე უნდა დავრჩეთ?

— რა ვქნა ბატონო, თქვენ ისე მეჩხუბებით, თითქოს ჩემი ბრალი იყოს...

— როგორ ფიქრობთ, შაქარი თუნდაც ორი კვირის შემდეგ რომ წავიღო, გაფუჭდება? ესეც ხომ კვერცხი არ არის, ვერ შევინახავთ ან დაგვემტვრაო, რომ მითხრათ?

— რა იყო, ირაკლი, რა გაჩხუბებს, კაცო, განა მარტო შენა ხარ ამ დღეში? გუშინ ერთმა ჩემმა თანამშრომელმა მითხრა, ორი თვეა არც შაქარი ამიღია, არც კარაქი და არც კვერცხიო. აბა, იმან რაღა ქნას?

— იმანაც და ყველამ უნდა იჩხუბოს, თორემ... — დავიღალეთ ამდენი სიარულით. ან იმდენი მოიტანონ, რომ ყველას შეხვდეს, ან საერთოდ ნუ მოიტანენ. ზაფხული ისე გავიდა, ზამთრისთვის ვერც მურაბა გავაკეთეთ და ვერც კომპოტი, ჩაი მაინც ხომ უნდა დავლიოთ?

— ისე, ღმერთმა იმის ოჯახი ააშენა, ვინც კომერციულში 30 მანეთად კარაქი მოიტანა გასაყიდად. ახლა ვინმე შაქარსაც რომ შემოიტანდეს კილოს 15 მანეთად, გვეშველებოდა ჩვენც, მასაც და გასტრონომის თანამშრომლებიც, დაისვენებდნენ „აბეზარი“ მომხმარებლების „ზედმეტი“ შეკითხვებისაგან, თორემ ამდენი ნერვიულობისაგან ან იმათ აუწევთ შაქარი, ან ჩვენ!..

**ლილი მაისურაძე-მორგოშია**


## გამოიწერეთ!




## განცხადება

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის ქორეოგრაფიული სტუდია აცხადებს 6-დან 13 წლამდე სათანადო მონაცემების მქონე ბავშვების მიღებას 1991-92 წლისათვის. აქვე ჩატარდება ბავშვთა და მოზარდთა ანსამბლებში ჩარიცხვის მსურველთა კონკურსი.

მიღება და კონკურსი დაწყებულია და ის გასტანს 20 ოქტომბრამდე; ყოველდღე, 16 საათიდან 20 საათამდე.

აქვე გაიხსნება ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.

**ჩვენი მისამართია: ალ. ყაზბეგის გამზირი 47 (საბურთალო, ყოფილი პავლოვის ქუჩა), „თბილჰიდროპროექტის“ ინსტიტუტის შენობის საქტო დარბაზი, II სართული.**

**ბალათერ არაბული**

# კვლავ ქართველი კლავს ქართველს...

შხამის თასებიც დავცალეთ,
სისხლის ღვარებიც ვღვარეთ;
ვერ გადავურჩით ბაზალეთს —
ჩვენი დაცემის ღამეს...

ქვეყნის ოთხივ მხრივ წავედით,
იმპერიებიც ვმართეთ,
ვერ გავექეცით მწარე ბედს:
კვლავ ქართველი კლავს
ქართველს!..

ჩემო ამაყო ჯილაგო,
დაუგეშავო ჯიშო,
არ ვიცი, შენით ვილაღო,
არ ვიცი, ვივიშვიშო...

წამოფაფრულო საომრად
ძმათა გამყოფო სისხლო,
არ ვიცი, შენზე ვილოცო,
არ ვიცი, დაგარისხო...

ეს რა ეშმაკმა დაგწყევლა,
მხარს რა სიკვდილი გაზის,
ან ბედად ვინ დაგაწერა
გზა მწარე სილამაზის...

. . .

სიონში ვრეკეთ ზარები,
ღმერთთან სანთლები ვანთეთ;
ვერ გადავურჩით მწარე ბედს:
კვლავ ქართველი კლავს
ქართველს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოზიცია

### საქართველოს ახალგაზრდული კავშირის განცხადება

ძვირფასო თანამოძმენო! უკვე [illegible] დღეა, რაც მთელს საქართველოში გაისმის მოწოდება დაპირისპირებულ მხარეთა შერიგების შესახებ. თითქოს ყველასათვის ნათელია დღევანდელ დღეს სანუკვარი მიზნის მისაღწევად თანამოძმეთა შორის სისხლისღვრის გაუმართლებლობა, მაგრამ ნანატრი შერიგება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა.

რით ვერ მივმხვდარვართ, რომ ასეთი სახით ჩვენი დღევანდელი ურთიერთდაპირისპირება თვითგანადგურებისა და თვითმკვლელობის ტოლფასია.

იარაღით ხელში სასხლეტზე თითმიბჯენილი მტყუან-მართალის უსისხლოდ გარკვევა შეუძლებელია, ნუ ვისურვებთ ტყვიის სროლით რაიმეს მტკიცებას, რადგან ისტორია სულ მალე ყველასაგან ჩაურევლად ობიექტურად შეაჯამებს მომხდარს. მტყუანსაც გამოაჩენს და მართალსაც, მოღალატესაც და პატრიოტსაც, პროვოკატორსაც და ქვეყნისათვის თავდადებულ მამულიშვილსაც...

თავისუფლების, კაცთმოყვარეობისა და ზნეობის პრინციპები მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მკვიდრდებოდეს.

სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი — მაშ, მოდით ერთიანი ჩვენთაგანის დღევანდელი ოცნება, ძმური შერიგება, საქართველოს კეთილი მომავლის გამოჭედვისათვის რეალობად ვაქციოთ.

**საქართველოს ახალგაზრდული კავშირის სათათბირო**
**1. 10. 1991 წ.**

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განცხადება

2 სექტემბერს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მშვიდობიანი მიტინგის დარბევის შემდეგ, როდესაც მილიციის სპეცნაწილის მხრიდან გამოყენებულ იქნა ცეცხლსასროლი იარაღი, ვითარება ქვეყანაში უაღრესად დაიძაბა.

მას შემდეგ, რაც 21 სექტემბერს შიმშილობის აქციის მონაწილეებს, რომლებიც ითხოვდნენ პოლიტპატიმართა განთავისუფლებას, სამართალდამცავი ორგანოების მუშაკები მუშტით და წიხლით გაუმასპინძლდნენ, ხოლო 22 სექტემბერს ღამით პრეზიდენტის მოწოდებით, რესპუბლიკის ხელისუფლების წარმომადგენელთა უშუალო ხელმძღვანელობით და სამართალდამცავი ორგანოების გადაცმულ მუშაკთა მონაწილეობით სასტიკად იქნა დარბეული რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე აქციები, გვარდია შემოვიდა თბილისში მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის მიზნით.

დღეს ეროვნული გვარდია, მიიჩნევს რა თავის მისიას შესრულებულად, ტოვებს ქალაქს.

ჩვენი ბრძოლის ფორმები და მეთოდები ყოველთვის იყო, არის და იქნება მშვიდობიანი. 2 სექტემბერს დაწყებული საპროტესტო აქცია, რომლის უპირველესი და უმთავრესი მოთხოვნაც იყო რესპუბლიკის პრეზიდენტის გადადგომა, კვლავაც გრძელდება.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ჩვენი მოქმედება არ გასცდება მშვიდობიანი პოლიტიკური ბრძოლის ჩარჩოებს. ამის გამო პასუხისმგებლობა მოსალოდნელი გართულებების შემთხვევაში მთლიანად დაეკისრება რესპუბლიკის ხელისუფლებასა და სამართალდამცავ ორგანოებს.

**3 ოქტომბერი, 1991 წელი.**

---

### საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს

**ასლი: საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს.**
**ასლი: საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს**

მოგმართავთ ა. წ. 30 სექტემბერს გამოცემული პრეზიდენტის ბრძანებულების თაობაზე ა. წ. აგვისტო-სექტემბერში მიმდინარე აქციების ორგანიზატორებსა და აქტიური მონაწილეების სისხლის სამართლის პასუხისგებისაგან განთავისუფლების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ბრძანება თავისთავად არაკონსტიტუციურია (პრეზიდენტს უფლება აქვს მხოლოდ მსჯავრდებულის შეწყალების), იგი უკვე კანონია და ამ კანონის თანახმად უკვე განთავისუფლებული უნდა იყვნენ წინასწარპატიმრობისაგან გიორგი ხაინდრავა და გიორგი ჭანტურია, რომელთაც იარაღი არც ჰქონიათ და, ბუნებრივია, ვერც პატიმრობისას ვერ ექნებათ.

ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის თავმჯდომარეც არის გიორგი ჭანტურია, პოლიტიკური ორგანიზაციაა და წინააღმდეგია თავის ბრძოლაში იარაღის გამოყენების.

კატეგორიულად მოვითხოვთ პრეზიდენტის მიერ მისივე ბრძანების აღსრულებას და ამდენი ხანი დაყოვნების მიზეზის ახსნას.

**ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი: მამუკა გიორგაძე, ვანო ხუხუნაიშვილი, ირინა სარიშვილი, თენგიზ წარმანაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ზურაბ ჩახვაძე, გიორგი ზუმბაძე, ირაკლი ქადაგიშვილი.**
**3 ოქტომბერი, 1991 წელი, 12.00 სთ.**

---

### დაფუძნდა საქართველოს დემოკრატიული პარტია

1991 წლის 11 მაისს „ახალგაზრდა ივერიელში" გამოქვეყნებული საქართველოს დემოკრატიული პარტიის საინიციატივო ჯგუფის განცხადების შესაბამისად ამა წლის 29 სექტემბერს შედგა საქართველოს დემოკრატიული პარტიის (სდპ) დამფუძნებელი კრება. კრებამ მიიღო და დაამტკიცა პარტიის პროგრამა, წესდება და სტრუქტურა. აირჩია წარმომადგენლები ხელმძღვანელ ორგანოებში.

საქართველოს დემოკრატიული პარტიის (სდპ) თავმჯდომარედ დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა მაყვალა ჩახვაშვილი. შემდგომ გაიმართა ფართო მსჯელობა საქართველოში მიმდინარე პროცესების ირგვლივ. საქართველოს დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი კრების მონაწილეებმა მოუწოდეს საქართველოს მოსახლეობას სამოქალაქო მშვიდობისაკენ.

## პოზიცია

### მცირე აკადემია (ფასიანი უმაღლესი სასწავლებელი)

რომელიც შეიქმნა საქართველოს ახალგაზრდა მეცნიერთა დამოუკიდებელ ასოციაციასთან, აცხადებს მიღებას 1991-1992 სასწავლო წლისათვის ბიზნესისა და ხელოვნების ფაკულტეტებზე.

**ბიზნესის ფაკულტეტს ექნება შემდეგი სპეციალობები:**

**1. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; 2. წარმოების ეკონომიკა და მართვა; 3. ვაჭრობის ეკონომიკა და ორგანიზაცია; 4. ფინანსები და კრედიტი.**

**ხელოვნების ფაკულტეტს ექნება სპეციალობები:**

**1. ფერწერა; 2. გრაფიკა; 3. დიზაინი; 4. მოდელირება; 5. ხელოვნებათმცოდნეობა.**

ბიზნესის ფაკულტეტზე სწავლება ოთხწლიანია, ხელოვნებისაზე — ხუთწლიანი. სტუდენტებს, რომლებიც ისწავლიან წარმოებისგან მოუწყვეტლად, ლექციები ჩაუტარდებათ მათთვის ხელსაყრელ დროს.

პირველი წლის სწავლების საფასური შეადგენს ექვსი ათას მანეთს. განსაკუთრებული მონაცემების, აგრეთვე უდედმამო და სამ ან მეტშვილიანი ოჯახებიდან გამოსული სტუდენტები ისარგებლებენ სხვადასხვა შეღავათით, სწავლის საფასურიდან მათ სრულ განთავისუფლებამდე. რექტორატი შეეცდება მისცეს სტუდენტებს შესაძლებლობა გამოიმუშაონ სწავლის საფასური ასოციაციასთან და მცირე აკადემიასთან არსებულ საწარმოებში მუშაობით, რაც ამავე დროს ჩაეთვლებათ საწარმოო პრაქტიკად.

სასწავლებლად მიიღებიან საშუალოდამთავრებული მოქალაქეები. ისინი გაივლიან გასაუბრებას, რომლის მიზანია გამოავლინოს უკეთესი მონაცემების სტუდენტები, ჩარიცხოს ისინი ცალკე ჯგუფებში. აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ უპასუხებენ გასაუბრებაზე წაყენებულ მოთხოვნებს, შესაძლებლობა მიეცემათ ჩაირიცხონ ინტენსიური სწავლების ჯგუფებში და დამატებითი მეცადინეობების გზით დაძლიონ ჩამორჩენა.

ასევე ცალკე ჯგუფებში ჩავრიცხავთ ბიზნესის ფაკულტეტზე იმ აბიტურიენტებსაც, რომლებიც სამომავლოდ აპირებენ მოემზადონ უმაღლესი სასწავლებლისათვის. ისინი შესაბამისი პროგრამებით მიიღებენ ცოდნას და თან პროფესიულად დაკვალიანდებიან, გაუღვივდებათ ინტერესი გააგრძელონ სწავლა ბიზნესის ფაკულტეტზე. მეორე კურსზე გადაყვანისათვის მათთვის აუცილებელი იქნება კურსის გავლა 2-3 სპეციალურ საგანში ან ამ საგნების ჩაბარება ექსტერნად.

იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც სრულყოფილად ვერ ფლობენ ქართულს, შეიქმნება საგანგებო ჯგუფები. რუსულის მცოდნე პედაგოგები მათ დაეხმარებიან ქართული ტერმინოლოგიის ათვისებაში.

ახალგაზრდა მეცნიერთა ასოციაციას, მცირე აკადემიის რექტორატს აქვთ კავშირურთიერთობა ცნობილ უცხოურ სამეცნიერო-სასწავლო კერებთან, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს სწავლების პროცესში მოიზიდონ იქიდან სპეციალისტები და კონვერტირებადი გახადონ სასწავლებლის დიპლომი.

აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს: ატესტატის დამოწმებული ასლი, ცნობები სამსახურიდან და საცხოვრებელი ადგილიდან (ოჯახის წევრთა სიით), ოთხი ფოტოსურათი 3X4-ზე და განცხადება. საბუთებთან ერთად შემოიტანეთ ის მანეთს, რომელიც სწავლის მთლიანი საფასურის ნაწილია.

**საბუთებს მივიღებთ ყოველდღიურად, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში — ფილარმონიის შენობის პირველ სართულზე, კოსტავას ქ. № 36. ტელეფონი 98-77-04.**

მცირე აკადემიაში ჩარიცხვა მოხდება ჯგუფების შევსებამდე. იჩქარეთ საბუთების შემოტანა.

**რექტორატი**

---

# ფირმა „სპროფი"

ვთავაზობთ რვადღიან საინტერესო მოგზაურობას ეგვიპტეში, ა. წ. 25 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე. თქვენ გეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა იმოგზაუროთ და დაისვენოთ ეგვიპტის ულამაზესსა და საოცარ ქალაქებში. პროგრამაშია: ქალაქები კაირო და ალექსანდრია, საინტერესო საექსკურსიო მომსახურებით. თქვენს განკარგულებაშია კომფორტაბელური 4-ვარსკვლავიანი სასტუმროები. საგზურის ღირებულებაა 220 ამერიკული დოლარი და 3500 მანეთი. შესაძლებელია საგზურის ღირებულების მანეთებში გადახდა.

იჩქარეთ, თქვენ შეიძლება დააგვიანოთ.

**ცნობებისათვის დარეკეთ: ტელეფონი: 93-17-85, 93-98-19.**
თბილისი, ლერმონტოვის, 18 (IV სართული).

---

### საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის მოსამზადებელი განყოფილების დღის, საღამოს და დაუსწრებელი სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში:
(ბათუმი, ფიროსმანის ქუჩა №12)

ა) დღის სწავლება:
მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

ბ) საღამოს სწავლება:
გემების ენერგეტიკული დანადგარების ექსპლუატაცია; კომუნალური მშენებლობა და მეურნეობა; დაბალი ტემპერატურების ტექნიკა და ფიზიკა; ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში.

გ) დაუსწრებელი სწავლება:
წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალთა რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება; გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობა.

**სოხუმის საღამოსა და დაუსწრებელი სასწავლებლის ფაკულტეტზე (სოხუმი, კელასური, მიჩურინის ქუჩა № 1).**

ა) საღამოს სწავლება:
მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ავტომატიკა და მართვა ტექნიკურ სისტემებში; სამრეწველო ელექტრონიკა; ტრანსპორტის ეკონომიკა და მართვა; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; წყალმომარაგება, კანალიზაცია, წყალთა რესურსების დაცვა და რაციონალური გამოყენება; ინფორმაციის დამუშავების და მართვის ავტომატიზებული სისტემები.

ბ) დაუსწრებელი სწავლება:
სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა; ვაგონები; სამშენებლო, საგზაო და ამწე-სატრანსპორტო მანქანები და მოწყობილობა; მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია; ჰიდროტექნიკური მშენებლობა; ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა.

**ცხინვალის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე (ცხინვალი, მოსკოვის ქუჩა № 8. გორი, საბჭოს ქუჩა, № 37).**

ა) საღამოს სწავლება:
ავტომობილები და საავტომობილო მეურნეობა; საავტომობილო გზების და აეროდრომების მშენებლობა; ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში; არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგია.

ბ) დაუსწრებელი სწავლება:
კომუნალური მშენებლობა და მეურნეობა.

**მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატთან არსებული კაზრეთის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე:**
(ბოლნისის რაიონი, დაბა კაზრეთი, მადნეულის ქუჩა № 12).

ლია სამთო სამუშაოები; სასარგებლო წიაღისეულის გამდიდრება; გადაზიდვის ორგანიზაცია და მართვა საავტომობილო ტრანსპორტზე.

მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან პირები, რომელთაც აქვთ არა ნაკლებ 1 წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი მუშის პროფესიით და იგზავნებიან მოსამზადებელ განყოფილებაზე, რესპუბლიკის მსხვილი, სახელმწიფო სამრეწველო საწარმოებიდან. პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აითვლება მიმართვის გაცემის მომენტისათვის. მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღება მხოლოდ იმ მუშა-ახალგაზრდობის საბუთები, რომელთა გამომგზავნი ორგანიზაციები და საწარმოები გააფორმებენ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ხელშეკრულებას, მოვლინებული პირის სწავლის ხარჯების ნაწილობრივ ასანაზღაურებლად — 3600 მანეთის გადახდის ვალდებულებით, ხოლო დღის სწავლებაზე ჩარიცხულ პირს აგრეთვე გადაუხდის სტიპენდიას (ხელშეკრულების და მიმართვის ფორმები გაიცემა განცხადებაში მითითებული მისამართებით).

1991 წელს სამხედრო სამსახურიდან დემობილიზებულნი მოსამზადებელ განყოფილებაზე მიიღებიან ხელშეკრულების გარეშე, სამხედრო სამსახურიდან სათანადო მომართვის საფუძველზე.

შენიშვნა: ა) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში სწავლის პერიოდი არ ითვლება პრაქტიკული მუშაობის სტაჟად მოსამზადებელ განყოფილებაზე შესასვლელად.

ბ) დღის სწავლების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ და პროფტექნიკურ და სხვა სასწავლებლებში სწავლის პერიოდში არსებული პრაქტიკული მუშაობის სტაჟი მოსამზადებელ განყოფილებაზე შემსვლელებს არ ჩაეთვლებათ.

საბუთები მიიღება განცხადებაში მითითებული მისამართების შესაბამისად, ამ ფაკულტეტებთან განლაგებული უახლოესი რაიონების მაცხოვრებლებისაგან 1991 წლის 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე (გარდა შაბათ-კვირისა). შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: განცხადება, მომართვა და ხელშეკრულება; შრომის წიგნაკის ამონაწერი (ორგანიზაციის ბლანკზე ან შტამპიან ფურცელზე); სამედიცინო ცნობა-ფორმა № 086-უ; საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი). 6 ფოტოსურათი (3/4), ხოლო პასპორტს შემსვლელი წარმოადგენს პირადად.

გასაუბრება და შემდგომ მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლება განხორციელდება ადგილებზე, განცხადებაში მითითებული მისამართების შესაბამისად.

გასაუბრება ჩატარდება ბილეთებით 1991 წლის 25-26 ოქტომბერს. არაორგანულ ნივთიერებათა ქიმიური ტექნოლოგიის სპეციალობაზე შემსვლელთათვის: ქიმიაში და მათემატიკაში, ყველა დანარჩენ სპეციალობაზე შემსვლელთათვის: მათემატიკაში და ფიზიკაში. შემსვლელმა ორივე საგანში უნდა მიიღოს დადებითი შეფასება. თუ შემსვლელი პირველ საგანში მიიღებს არადამაკმაყოფილებელ შეფასებას ის იხსნება გასაუბრებიდან და მეორე საგანში გასაუბრებაზე აღარ დაიშვება.

მოსამზადებელ განყოფილებაზე სწავლა იწყება 1 ნოემბრიდან.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება განცხადებაში მითითებული მისამართებით

**რექტორატი.**

---

**ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 12 ოქტომბერს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სასწაულმოქმედი ბალახები, გამოცდილება და... სხვა არაფერი

ნაჭყებიების საგვარეულო მთელს საქართველოში განთქმულია ხალხური მედიცინის მკურნალებით.

ფირმა „უტა-აპექსი“ წარმოგიდგენთ კიდევ ერთ ხალხური მედიცინის დიპლომირებულ მკურნალს **ნანა ნაჭყებიას.** წინაპართა მდიდარი გამოცდილებისა და უნიკალურ ბალახებზე დაყრდნობით იგი წარმატებით მკურნალობს შემდეგ დაავადებებს:

1. კენჭის დაშლა თირკმელში და მისი თანხლები დაავადებები (ძირითადად ოცდაოთხდღიანი მკურნალობის კურსი უდიეტოდ, უმტკივნეულოდ).
2. ნეფრიტი.
3. სადინარების გაწმენდა.

აგრეთვე დაავადებებს: ნაწლავების ქრ.ანთება, შებერვები, ბუასილი.

მიღების საათებია 11-17-მდე ყოველდღე პარასკევი, შაბათი და კვირის გარდა.

მისამართი: სულხან-საბას ქ.№1 მეტრო თავისუფლების მოედანი.

ცნობებისათვის დარეკეთ: ტელ.: 98-91-66

---

## ფირმა „ბალავარი“ გთავაზობთ

ფირმა „ბალავარი“ ამზადებს: მოზაიკის ფილებს, კიბის საფეხურებს, ასაწყობ ბუხარს, მოზაიკის მრგვალ მაგიდას, რკინის კარებებს და რკინის სხვა ნაკეთობებს.

ფირმა ვაჭრობს როგორც ნაღდ ანგარიშზე, ასევე გადარიცხვით.

მისამართი: თემქის ასახვევი ფეხბურთის მოედან „სიხარულის“ გვერდით რესპუბლიკური ტირის შენობაში. ტელ.: 60-52-88

---

სამეცნიერო-საწარმოო ფირმა

## „იმერი“

აწარმოებს: ტექნიკური დოკუმენტაციის გამრავლებას, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე.

ჩვენი მისამართია: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. №42/2

ტელ.: 39-14-77, 95-81-05

---

კოოპერატორთა ქ.თბილისის ნაძალადევის რაიონული გაერთიანება გაცნობებთ, რომ გასაყიდი აქვს **„ზილ-131“** მარკის ავტომობილები.

ცნობებისათვის დარეკეთ: 61-53-22, 61-53-25 ან მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №72

---

აბაშის საზკვების კოოპერატივი **„ლვეზელი“** ყიდის უკრემო ფუნთუშის დასამზადებელ აპარატს „АТЗМ“, წარმადობა 600 ცალი საათში.

ცნობებისათვის დარეკეთ:
თბილისში: 60-39-62
აბაშაში: 9-18-77

---

## სოფლის მეურნეობის მუშაკთა საყურადღებოდ

იყიდება დიდი რაოდენობით უმაღლესი ხარისხის ტორფი და ტორფის ქოთნები, რომელიც წარმატებით გამოიყენება, როგორც სანერგე, ასევე სასათბურე მეურნეობაში. ტორფის შეძენა შეიძლება როგორც ნაღდ ფულზე, ასევე გადარიცხვით. ნედლეული გაიყიდება მხოლოდ იმ პირებზე ან ორგანიზაციებზე, რომლებსაც აქვთ სურვილი შეიძინონ ტორფი დიდი რაოდენობით (მინიმუმ 1000 ორკილოგრამიანი პაკეტი.)

მოგვმართეთ მისამართზე: ბუდაპეშტის ქ. №1

ტელეფონი: 37-58-25

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო საგენტო „არგო-ბლიკი“

---

## ვიზების, მხატვრული ლიტერატურის და ტექნიკური დოკუმენტაციის სათარგმნელად

მიმართეთ სერვის-ბიუროს. ფირმა გაძლევთ გარანტიას შეკვეთის სწრაფ და ხარისხიან შესრულებაზე.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19,(თავისუფლების მოედანთან), $10^{00}$სთ-დან $18^{00}$სთ-მდე.

ტელ.: 93-20-76.

---

**ვყიდი** ერთოთახიან ბინას მშენებარე ლოჯით მუხიანის დასახლებაში.

ტელეფონი: 60-85-28
დერეკეთ ნებისმიერ დროს.

---

## ფირმა „არგო“

იწვევს ქ.თბილისში მცხოვრებ კერძო ავტომანქანის მძღოლებს მოსახლეობის მომსახურებისათვის. ჩვენთან გაერთიანებულ მძღოლებს გაეწევათ სხვადასხვა სახის მომსახურება უფასოდ.

მისამართი: ბუდაპეშტის ქ.№1

ტელ.: 37-58-25, 37-06-64. $11^{00}$ სთ-დან $16^{00}$ სთ-მდე.

---

## კერძო ა/მფლობელთა საყურადღებოდ

**ის მძღოლები, რომლებიც იყვნენ გაერთიანებული კოოპერატივ „სავანე“-ში მოსახლეობის მომსახურეობისათვის, ვთხოვთ, გამოცხადდნენ მისამართზე: ქ.თბილისი, ბუდაპეშტის ქ.№1. $11^{00}$სთ-დან $16^{00}$სთ-მდე გარდა შაბათ-კვირისა.**

კოოპერატივის ადმინისტრაცია.

---

**იყიდება იაპონური წარმოების ასლების გადამღები მანქანა „რიკონი-5560“ რემკომპლექტით 800000 ეგზემპლიარზე.**

**იყიდება აგრეთვე 1025-1038 ასლების გადამღები მანქანის რემკომპლექტი.**

**ცნობებისათვის დარეკეთ: 96-14-39. საღამოს $19^{00}$სთ-ის შემდეგ.**

---

## რეკლამის მოყვარეთა საყურადღებოდ!

გაზეთ "ახალგაზრდა ივერიელში" რეკლამებისა და განცხადებების გამოსაქვეყნებლად მიმართეთ სარეკლამო საგენტო "არგო-ბლიკს".

მისამართი: ბუდაპეშტის 1.

ტელეფონი: 37.06.64 ან 37.58.25 (11.00 სთ-დან 17..00 სთ-მდე დასვენების დღეების გარდა).

საყოფაცხოვრებო შინაარსის განცხადებების გამოქვეყნების მსურველებმა ("ვცვლი ბინას", "გვესაჭიროება", "ვყიდი", "ვყიდულობ", "ვასწავლი", "ვაქირავებ" და ა. შ.) მოგვმართეთ 14.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე.

შეგახსენებთ, რომ ორგანიზაციებისათვის გადასახადი ერთ კვადრატულ სანტიმეტრზე 5 მანეთია, კერძო პირებისათვის 3 მანეთი.


ახალგაზრდა ივერიელი

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მისაღები — 98-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15. НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.